ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## იღებენ თუ არა ყურად სალომე ზურაბიშვილის მოწოდებებს ევროპაში?



გვ.5

საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ დაინტერესება იკლებს

5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი





შაბათი – კვირა, 9 – 10 მარტი, 2019

№57 (8011)

ფასი: 60 თეთრი

# გადადგა თუ არა თეა წულუკიანი



გვ.4

დავით ზალკალიანი და დავით ბაქრაძე თანამდებობებს გაცვლიან

## ზაალ ანჯაფარიძე: „თუ „ოცნება“ ახალ სახეებს 2016 წლის მსგავსად მოიყვანს, ეს არაფრის მომცემი იქნება“

„ღარიბაშვილის დაბრუნების შემდეგ „ნაცმოძრაობისადმი“ ხელისუფლების რიტორიკა უფრო ხისტი იქნება“



გვ.6

## „ივანიშვილმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მომავალი არჩევნები მოიგოს“



გვ.2

„ოცნების“ ლიდერი მიხვდა, რომ მონებისგან პოლიტიკურ პარტიას ვერ შექმნის“



გვ.3

## ლევან ალაფიშვილი: „არჩევნების ლეგიტიმურობაზე კითხვას ეუთოც სვამს“

## გიორგი კეპულაძე: „ბიზნესმენები პარლამენტში საკუთარი ბიზნესის დასაცავად მიდიან“



გვ.5



გვ.3

## რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებაში“ ურეიტინგო ადამიანები არიან“

## „ბიჭი მთელი ღამე მანქანაში, საბარგულში ჰყოლიათ გამოკეტილი, გოგო — სალონში“

გვ.7 გლდანში საქართველოს ბანკს თავს დაესხნენ

### ეკონომიკა

გვ.6

ვანო მაჭავარიანი TBC-ის საქმეზე: „თვითონ ტრანზაქცია არის ძალიან მძიმე“



„შეერთებული შტატები „თიბისი ბანკის“ საქმის მსვლელობას ყურადღებით აკვირდება“



დავით ონოფრიშვილი: „მე, როგორც რეგულატორს, არ მინდა, ბაზარზე ორი-სამი კომპანია დომინირებდეს“



ISSN 1987-9385

4 ჯორჯიან ეარვეისი: „თურქული კომპანია თბილისის აეროპორტიდან ფრენის საშუალებას არ გვაძლევს“

7 16 წლის მოზარდმა თანატოლები ცივი იარაღით დაჭრა

4 ვასილ სოფრომაძე: „მოგიწოდებთ, ნუ ექცევით ბიზნესს, როგორც ქუჩის ქალს! დამიჯერეთ, ბიზნესი საკადრის პასუხს გაგცემთ“

7 „დედა გონებას კარგავს და ასულიერებენ“ — რატომ მოკლა გივი ბასილაშვილი მისმა ძმამ

# „ივანიშვილმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მომავალი არჩევნები მოიგოს“

## „ოცნების“ ლიდერი მიხვდა, რომ მონებისგან პოლიტიკურ პარტიას ვერ შექმნის“

შორენა მარსაგიშვილი

რისთვის ემზადება ბიძინა ივანიშვილი, რაში ცდება ის, რა პრეტენზიები გაუჩნდა ნაციონალების ნაწილს სააკაშვილთან, რატომ დაიწყო „ოცნებამ“ ხალხის ქუჩაში ძებნა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი **კახა მიქაია** ესაუბრება.

***– „ოცნება“ ჩვენ გაოცებას აგრძელებს. ახლახან გვამცნეს, რომ კერძო კომპანია იქირავეს, რომელიც რეგიონებში შუკა-შუკა, შარა-შარა ჩამოივლის და მმართველი პარტიისთვის კარგ ხალხს შეარჩევს. თქვენი აზრით, რა ხდება?***

– სერიოზული კომენტარი თუ გინდათ ამაზე, საქმე იმასთან გვაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი ემზადება 2020 წლის არჩევნებისთვის. ის მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოგებასაც აპირებს. ყველაფერი, რაც დღეს მმართველ პარტიაში ხდება, მომდევნო წელს დაგეგმილი არჩევნების მოგებისკენ არის მიმართული.

ივანიშვილმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები უნდა მოიგოს, ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

***– რას ნიშნავს გადაწყვეტილება მიღებულია? ივანიშვილი ნებისმიერ ფასად აპირებს არჩევნების მოგებას?***

– რადაც არ უნდა დაუჯდეს, მან ამ არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებას ასე მარტივად და ასე იოლად არ დათმობს. 2020 წლის არჩევნები მისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება და ქვეყნისთვისაც.



ახლავე გეუბნებით, 2020 წლის არჩევნების შემდეგ ჩვენ ისევ ერთპარტიულ პარლამენტს მივიღებთ. ნაციონალების ოპოზიციონერობა რაც არის, ყველა ვხედავთ. მათი ოპოზიციონერობა მიშას სიგიჟეებით შემოიფარგლება.

ყოფილი ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის გარეშე არაფერს არ წარმოადგენს. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ნაციონალებში არის სერიოზული განხეთქილება.

***– რა განხეთქილებაზე საუბრობთ?***

– ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, ნაციონალების ნაწილი ღიად დაუპირისპირდა სააკაშვილს. ისინი მიხვდნენ, რომ მიშას ქმედებები და პოლიტიკა, ამ პარტიას უქადის მუდმივ მეორე ადგილს და ოპოზიციონერობას. ამ ხალხს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მიშას სიგიჟეებით ვერასდროს ვერ მოიგებენ არჩევნებს.

მართალია მას თანაგუნდელების ნაწილი დაუპირისპირდა, მაგრამ სააკაშვილი, ივანიშვილის მსგავსად, აქტიურად ემზადება არჩევნებისთვის.

„ოცნების“ ლიდერი კარგად ხვდება, რომ კობახიძეებით, თალაკვაძეებით, კალაძეებით და ვიღაც-ვიღაცებით არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდება. ის იმაზეც ფიქრობს, რომ 2020 წელს შეიძლება ქართველ საზოგადოებას მობეზრდეს „მგელი მოდის“ ძახილით „ოცნებისთვის“ ხმის მიცემა და თქვას, რომ ბოლოს და ბოლოს მოვიდეს ეს მგელი.



კახა მიქაია: „ღარიბაშვილმა უნდა გააცნობიეროს, რომ მურუსიძე უვადო სააკაშვილია“

მმართველი პარტიის ლიდერი ამ საშიშროებას გრძნობს და ამიტომ გამართა ფართომასშტაბიანი მუშაობა. მან აქტიური შეტევა მიიტანა ქართველ ამომრჩეველზე, რათა კიდევ ერთხელ მოიგოს არჩევნები.

***– გასაგებია, რომ არჩევნების მოგება უნდა, მაგრამ შუკა-შუკა, შარა-შარა ხალხის ძებნა რა უბედურებაა, ეს ცოტა გაუგებარია.***

– ეს საინტერესო ამბავია. ამათ რომ ვუყურებ, სულ უფრო და უფრო მიმძაფრდება განცდა, რომ საბჭოთა საქართველოში ვბრუნდებით.

„ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ – ეს იმ ტელეგადაცემის სახელწოდებაა, რომელიც ჩემი ბავშვობის დროს სამოცდაათიანების საბჭოთა საქართველოში იყო პოპულარული!

როგორც ვატყობ, წარსულის ექო დღევანდელობამდე აღწევს და ტალანტების ძიება გრძელდება. ტალანტებს, მთავარი ტალანტი – კახი კალაძე მოძებნის, რომელსაც „ძირმომპალი კაპიტალისტური დასავლეთიდან“ დაქირავებული კერძო კომპანია დაეხმარება და „ახალი საბჭოეთის ოცნების პარტიაც“ ახალი ტალანტებით შეივსება!!!

პარტიაში მყოფი ტალანტები ახალ ტალანტებს პარტიული მუშაობის გამოცდილებასაც გაუზიარებენ და პარტიული მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიშლება.

ჩვენ კი, შრომის ფერხულში ჩაბმული ამომრჩევლები, მქუხარე, ხანგრძლივი აპლოდისმენტების ქვეშ, ისევ მივალთ საარჩევნო ურნებთან და დაუფიქრებლად მივცემთ ხმას ახალი ტალანტებით სავსე მშობლიურ პარტიას!!!

მით უმეტეს, როგორც გვამცნეს, „ქართული ოცნება“ დღეს, ხელისუფლებაში ყოფნის შვიდი წლისთავზე, იწყებს ნამდვილ პარტიად ჩამოყალიბებას. ჰოდა, წინ, წარსულისაკენ, ამხანაგებო.

იმას, რასაც ახლა ივანიშვილი აკეთებს, ეს ცოტა სასაცილოა, მაგრამ მას მეტი გზა არა აქვს. რესურსი ამოეწურა და დადის ახლა შუკა-შუკა, შარა-შარა და იქ ეძებს ხალხს.

***– რა გარანტია აქვთ, რომ ამ შუკებში ისეთ ხალხს იპოვიან, რომელიც მათ გამოდგება?***

– ისინი იმ იმედით მიდიან შუკა-შუკა, შარა-შარა, რომ შეიძლება ახალი კობახიძეები, მდინარაძეები და თალაკვაძეები იპოვონ.

მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის თანაგუნდელებს ისე უყურებს, როგორც ერთჯერადი გამოყენების ნივთებს. ვისაც ჰგონია, რომ „ოცნებაში“ რაღაცას წარმოადგენს, ძალიან შემცდარა. ყველამ უნდა გაითავისოს, რომ „ქართული ოცნება“ არის პარტია, რომელიც წარმოადგენს ერთ კაცს.



„ოცნების“ ლიდერს თუ დასჭირდა, ყველას მოიშორებს, ვინც დღეს მის გვერდით არის. ბოლო დროს ბევრი საინტერესო რამ მოხდა და ივანიშვილიც ერთ რამეს მიხვდა, რომ მონებისგან პოლიტიკურ პარტიას ვერ შექნის. მონებისგან მხოლოდ ერთჯერადი გამოყენების პარტიის შექმნაა შესაძლებელი.

***– შუკებში და შარა-შარა ივანიშვილი მონებს ეძებს თუ თავისუფალი აზროვნების ადამიანებს?***

– რა თქმა უნდა, მონებს ეძებს. არა მგონია, ტალანტების ძებნით დაიღალოს.

***– ზემოთ თქვენ თქვით, რომ ივანიშვილი 2020 წლის არჩევნების მოგებას აპირებსო. საქართველოს უახლესი ისტორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც ერთ ხელისუფლებას არ მოუგია არჩევნები ორზე მეტჯერ. ივანიშვილს ორჯერ უკვე მოგებული აქვს საპარლამენტო არჩევნები.***

– ივანიშვილი რისი ივანიშვილი იქნება, უპრეცედენტო რამე რომ არ გააკეთოს. მან ხომ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა, როცა მწვერვალზე მყოფმა დატოვა ხელისუფლება. ახლა ის ყველას დაანახებს, რომ ის ორ ე.წ. სროკს არ დასჯერდება და მესამე სროკზე წავა.

ამ ადამიანს ძალიან დიდი ამბიციები აქვს. ის მესამე კი არა, მეოთხე წრეზეც მოინომებს წასვლას. მას საქართველოს ისტორიაში დადგენილი ჩარჩოებით არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევხედოთ – ის ყველანაირ ჩარჩოებს სცდება. მეტსაც გეტყვით, ის ანგრევს ჩარჩოებს.

***– ჩარჩოებში ჯდომა არ უყვარს, ამბიციებიც აქვს და ბევრი ფულიც, მაგრამ შემთხვევით ეს მდიდარი კაცი ქართველების შეფასებაში ხომ არ ცდება?***

– ამ პოლიტიკაში ბევრი რამე გავაცნობიერე და ბევრ რამესაც მივხვდი. ერთადერთი, რაც ვერ გავიგე, ისაა, რომ რატომ უყურებს ასე ცუდად ეს კაცი ქართველებს. მას მართლაც ცუდი წარმოდგენა აქვს ქართველებზე და მათ ბუნებას სათანადოდ ვერ აფასებს.

***– ქართველების ბუნებას მართლა ვერ აფასებს და ამაში მისი გარემოცვის ხელი ხომ არ ურევია?***



– არა მგონია. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ ადამიანზე გარემოცვას რაიმე გავლების მოხდენა შეუძლია.

***– „ოცნებასთან“ დაახლოებული ადამიანები ამბობენ, რომ მათი ლიდერი ბოლო დროს გოგა ხაინდრავას ჭკუაზე დადის.***

– გამორიცხულია. ის არავის ჭკუაზე არ გაივლის. არაა ეგ ის ადამიანი, ვინც სხვის აზრს გაითვალისწინებს. მოსმენით მოუსმენს, მაგრამ გადაწყვეტილებას ისე მიიღებს, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ.

ის არავის არ უსმენს და კიდევ ერთხელ ვამბობ, ძალიან მიკვირს, რატომ უყურებს ივანიშვილი ქართველ ხალხს ასე. ის ძალიან ცდება ქართველების შეფასებებში. ის ამაში მალე დარწმუნდება.

***– ამით რისი თქმა გინდათ, რომ ის რაკი სათანადოდ არ აფასებს ქართველ ხალხს, ეს მას ცხვირს წაამტვრევინებს?***

– რა თქმა უნდა, ის ცდება ქართველების შეფასებაში და ეს მას აუცილებლად წაამტვრევინებს ცხვირს.

***– მისი ცხვირის წამტვრევა ნაციონალების დაბრუნებით ხომ არ დასრულდება?***

– ღმერთმა არ ქნას, რომ ეს ნაციონალების დაბრუნებით დამთავრდეს. მოდით იმაზეც შევთანხმდეთ, რომ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს ნუ დავაბრალებთ. ვიღაცები, უადგილო ადგილას თუ მოწვიმა, ამასაც „ოცნების“ ლიდერს აბრალებენ.

ამასთან აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ ადამიანმა თავის პარტიას განვითარების საშუალება არ მისცა, მაგრამ ვსვამ კითხვას, რას გააკეთა ოპოზიციამ, რომელსაც ბოლო 6 წელია მისი გინების მეტი არაფერი გაუკეთებია. მთელი ამ წლების მანძილზე ტელევიზიებში ისხდნენ და გულისმოსაფხან ფრაზებს ისროდნენ.

დააკვირდით ეთერებს, ჟურნალისტებიც ისეთ ხალხს იწვევენ, ვინც მაგრად იჩხუბებს და კარდ შოუს დადგამს. ეს შოუები არაფრით არ მთავრდება. პარტიები ერთ ადგილს ტკეპნიან და იმის იმედით არიან, რომ ქართველი საზოგადოება ივანიშვილს მესამედ აღარ აირჩევს.

ძალიან დიდი ბოდიში ყველასთან, მაგრამ მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრის მარგი ქმედების კოეფიციენტი უდრის ნულს.

***– ახალი სახეების მოძიებაზე გადასული „ოცნება“ ძველ სახეებსაც ხომ არ დააბრუნებს? ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება ამის წინაპირობა ხომ არ არის?***

– ღარიბაშვილის დაბრუნებასთან დაკავშირებით ძალიან დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, რაც პირადად მე ძალიან არ მომწონს. ზოგი ილანძღება, ზოგი ზღვარგადასულად ქილიკობს.

გულწრფელად გეტყვით, არ მომწონს, როცა ირაკლიზე ასეთ ცუდ რამეებს ამბობენ. მინდა მას წარმატებები ვუსურვო და ვურჩიო, რაც შეიძლება მალე მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებში ადაპტირება.

ყურადღებით ვუსმინე მის პირველ სატელევიზიო გამოსვლას და ამ გამოსვლიდან გამომდინარე, მას ერთი რამე მინდა ვუთხრა. ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილი არ არის უვადო.

მიუხედავად იმ მძიმე ვითარებისა, რაც დღეს საქართველოშია, ნაციონალების ლიდერი პოლიტიკური სპექტრიდან, როგორც პოლიტიკოსი, ძალიან მალე გაქრება, მაგრამ მურუსიძე უვადო სააკაშვილია და ეს ღარიბაშვილმა კარგად უნდა გააცნობიეროს.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ალაფიშვილი: „არჩევნების ლეგიტიმურობაზე კითხვას ეუთოც სვამს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაასაჯაროვა თიბისი ბანკის დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძისთვის გაგზავნილი წერილი, სადაც ბიზნესმენი შს მინისტრის გიორგი გახარიას მხრიდან მუქარაზე საუბრობდა. წერილი პროკურატურას თავად ბიზნესმენმა წარუდგინა. როგორც მოგვიანებით ხაზარაძის ადვოკატმა ზვიად კორძაძემ განმარტა, მუქარის ერთი პუნქტი ხაზარაძემ შეასრულა. საუბარია იმაზე, როცა მან არჩევნების წინ თავის განცხადებაში რევანშზე ისაუბრა. კერძოდ, მან დაგმო მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებები.

არის თუ არა მმართველი გუნდის მხრიდან განხორციელებული ზეწოლა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და დგება თუ არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი? – ამ თემებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი **ლევან ალაფიშვილი** საუბრობს:

***– ხაზარაძის წერილი გაავრცელა პროკურატურამ, რაზეც განმარტება გააკეთა ხაზარაძის ადვოკატმა და თქვა, რომ არჩევნების წინ ბიზნესმენმა ერთ-ერთი პირობა შეასრულა, როდესაც გააკეთა განცხადება პოლიტიკურ რევანშზე. არის თუ არა ეს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ბიზნესზე განხორციელებული ზეწოლა?***

– ბუნებრივია. რთულია სხვა შეფასების მოძიება გარდა იმისა, რომ უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენელი ასეთ ფაქტებს ასაჯაროვებს, სხვა შეფასებას ვერ გააკეთებ. მით უმეტეს, ფაქტით დასტურდება ეს ყველაფერი. ასევე მის მიერ გაკეთებული განცხადება.

ამას თუ დავუმატებთ ეუთოს დასკვნას საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, განსაკუთრებით ე. წ. სესხების განულებასთან დაკავშირებით, ეს ის გამოწვევაა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებრიობას და დემოკრატიას პრობლემად შეიძლება ექცეს.

***– თუ ეს ფაქტი დადასტურდა, შეიძლება იმის თქმა, რომ ეს არჩევნების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს?***

– საკითხს თუ განვიხილავთ ეუთოს დასკვნის სესხების განულების კონტექსტში. მხედველობაში მაქვს ის პრობლემა, რაც ბანკთან იყო დაკავშირებული, დავინახავთ, რომ ის უფრო დიდი და მასშტაბური პრობლემაა, ვიდრე ეს. შესაბამისად, ლეგიტიმურობას მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა კი არ დაუსვამს კითხვის ნიშანს, არამედ ეუთომ უკვე დაუსვა თავის დასკვნაში. თუ დავაკვირდებით სესხების განულებას, სიძულვილის ენას და ა. შ., რაც გამოთქმულია ეუთოს დასკვნაში და თუ დავაკვირდებით სტრიქონებში გამოთქმულ მოსაზრებებს ან მის მიღმაც გავიხედავთ, ცხადია, რომ ის საჭიროებს დარეგულირებას.

***– არაერთი ფაქტი ვნახეთ არჩევნებზე. იყო სუს-ის ჩარევა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და ა. შ. ეს ყველაფერი სამომავლოდ როგორ უნდა გამოსწორდეს იმ ხელისუფლების პირობებში, რომელიც არ აღიარებს არაფერს?***

– ძნელია იმ ტიპის სახელმწიფოში – გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაში – ამის მიღწევა. თუ სხვა ქვეყნებზე უკეთესი დემოკრატია გვაქვს, არ ნიშნავს, რომ ევროპულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატია გვაქვს. ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ. ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი არათუ მოძველებული, არამედ ხშირ შემთხვევაში ძალადობასა და კორუფციაზეა დაფუძნებული.




ჯერ პარტიების რაოდენობა ავიღოთ. ადვილია პარტიის შექმნა. მე არ ვამბობ, რომ რთული უნდა იყოს, მაგრამ კანონი იძლევა შესაძლებლობას, რომ პარტია გახდეს არა იდეოლოგიისა და ფასეულობების ირგვლივ ადამიანთა ერთობა, არამედ რაღაც კონკრეტული მიზნების მიღწევის საშუალება.



ჩვენ, გადამხდელები, ბიუჯეტიდან ვინახავთ პარტიებს, რომლებიც შესაძლოა პარლამენტშიც კი არ იყვნენ წარმოდგენილი.

***– კვალიფიციურ სუბიექტებს გულისხმობთ?***

– კი ბატონო. ეს დემოკრატიისთვის კარგია, მაგრამ როგორ იხარჯება ეს ფული?! გაგიგიათ, რომელიმე პარტიის შიგნით როგორ იხარჯება ფული? არის თუ არა გამჭვირვალე და დემოკრატიული პროცესი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი პარტიაში. შესაბამისად, არცთუ შორეულ წარსულში თუ გავიხედავთ, დავინახავთ, რომ პარტიული ფინანსები იყო ხოლმე პარტიის შიგნით წევრთა დაპირისპირების საკითხი.

***– ანუ გამჭვირვალე უნდა გახდეს ეს პროცესი?***

– კი ბატონო. ეს მხოლოდ ფინანსებს არ ეხება.

პარტია ამომრჩეველს გვეუბნება, რომ გავაუმჯობესებთ საქართველოში დემოკრატიას და დემოკრატიულად ვმართავო. ეს ჩვენი – საზოგადოების პოლიტიკური კულტურაცაა. არც ვინტერესდებით, რამდენად დემოკრატიულია პარტიული სისტემა. გაგახსენებთ კიდევ ფაქტებს. აიღეთ საპარლამენტო ან ადგილობრივი არჩევნები, მმართველი პარტიის მაჟორიტარების კანდიდატების ბანერები კვირაში სამჯერ იცვლებოდა. ოღონდ ცვლილება კი არ არის პრობლემა, არამედ თვითონ პარტიის წევრებმაც კი არ იცოდნენ, ან ერთი ვინ იყო ან მეორე, ან მესამე. მაჟორიტარი რატომ წარადგინეს, რომელიც პარტიის წევრი არ იყო... ანუ თვითონ წევრი არ იყო ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ორიოდე დღის წინ მმართველმა პარტიამ გამოაცხადა, რომ პარტიის თავმჯდომარემ პარტიულ თანამდებობაზე დააბრუნა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ჩავხედოთ მმართველი პოლიტიკური პარტიის წესდებას, იცავს მას? ან პარტიის თავმჯდომარე რომ მიბრუნდა პარტიაში. მაშინ პოლიტსაბჭო განახლდა, წესდების მიხედვით, წესდებით წარიმართა ეს პროცესი?!

***– რა წერია წესდებაში?***

– არჩევითია ეს ორგანო. ყრილობა ჩატარდა?! განახლდა მმართველი პოლიტიკური საბჭო და კვირიკაშვილი დატოვეს პოლიტსაბჭოში, ხოლო პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ის ჩაანაცვლა ბიძინა ივანიშვილმა. ეს გამოაცხადეს ყრილობაზე. ორიოდე დღის წინ მმართველი პარტიის ყრილობა ჩატარდა? მე მგონი, არ ჩატარებულა. არჩევით ორგანოში წევრობა, მე მგონი, დანიშვნით არ ხდება.

ეს მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის პრობლემა არაა. რადგან მმართველი პარტიაა, მის მიმართ მოთხოვნა გადაჭარბებულია, მაგრამ ყველა პარტიისთვის მეტ-ნაკლები ინტენსივობით ეს პრობლემა აქტუალურია. იმიტომ, რომ პარტიების შესახებ კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლევა.

არ ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონს, იგივე დაფინანსების წესი, რომელიც განსაზღვრულია სხვა საკანონმდებლო აქტებით. ეს ყველაფერი, მთელი სისტემა შესაცვლელია. მმართველი ძალა ბუნებრივად ხდება დაინტერესებული, რომ დაფინანსება მიიღონ იმ სუბიექტებმა, რომლებიც, მისი აზრით, ამას იმსახურებენ.

# რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებაში“ ურეიტინგო ადამიანები არიან“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, გავრცელებული ინფორმაციით, სამთავრობო ცვლილებები იგეგმება. თქვენ რამდენად ელოდებით მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებს?***

– თუ ივანიშვილის დაპირებას გავიხსენებთ, რომელიც მან ხალხს მისცა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, რომ ის ბევრ რამეს შეცვლის და მათ შორის ეს ცვლილებები შეეხება კადრებსაც, მე არ გამოვრიცხავ, რომ მთავრობაში ცვლილებები მოხდეს. თუმცა, არის თუ არა ეს ცვლილებები პარტიის პრობლემების გადაჭრა, უკვე სხვა საკითხია.

***– რა მიმართულებით შეიძლება, ცვლილებები იყოს? მაგალითად, ეკონომიკის მინისტრ ქობულიაზე გავრცელდა, თუმცა მან უარყო. ასევე, ვრცელდებოდა ხმები გახარიას გაპრემიერებაზე, მაგრამ მის მიმართ არსებული ბრალდებების ფონზე რამდენად უნდა ველოდოთ ასეთ გადაადგილებას?***

– გასაგებია, გახარიასთან დაკავშირებით თქვენ იმ კონტექსტს გულისხმობთ, რომელიც ახლა მის ირგვლივ არის და რომელიც არ არის სასურველი ფონი.

***– დიახ, ვოლსკი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ გახარიაზე შეტევა ხდება.***

– გასაგებია, მაგრამ ეს მაინც არ არის სასურველი ფონი, მით უფრო, თუ კაცი უნდა დააწინაურო. ამიტომ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ახლა, ამ ეტაპზე სამთავრობო ცვლილებები არ იქნება. სამთავრობო ცვლილებები გარდაუვალია, მაგრამ არა დღეს და ხვალ. კიდევ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი – წინ არის არჩევნები. ასეთი ცვლილებები, როგორიც არის სამთავრობო და კიდევ სხვა სახის, წმინდა პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით უშუალოდ არჩევნების წინ ხდება და მიზეზი სავსებით გასაგებია, თუ ახალი დანიშნულია ადამიანი, მასთან პრეტენზიაც ნაკლებია.

რაც შეეხება პარლამენტში ცვლილებებს, აქ ცვლილებები გარდაუვალია.

***– პარლამენტში რა ცვლილებები უნდა იყოს, როდესაც თანამდებობები არჩევითია? თუნდაც ირაკლი კობახიძე როგორ უნდა შეიცვალოს?***

– თუ ამის ნება იქნება, შეიძლება შეიცვალოს და მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ასეთი ცვლილება მოხდეს. არჩეული



თანამდებობიდან ადამიანის გაშვების რამდენიმე ხერხი არსებობს.

***– ამ კონკრეტულ შემთხვევაში კობახიძეს ვგულისხმობ...***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ირაკლი კობახიძე აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაიყვანონ ან საერთოდ – სასამართლო ხელისუფლებაში.

***– ის იურისტია, კონსტიტუციონალისტი...***

– დიახ, საკმაოდ მაღალი დონის. მე არ გამოვრიცხავ, რომ სასამართლო ხელისუფლებაში მაღალ პოზიციაზე ვიხილოთ ირაკლი კობახიძე. ეს უფრო სწორი და სტრატეგიული გადაწყვეტილება იქნებოდა. თუკი ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მაშინ შეიძლება, ბევრი რამე დალაგდეს.

***– რას გულისხმობთ?***

– რეიტინგებს. ნებისმიერ დროს, მით უფრო თანამედროვე ეპოქაში, პოლიტიკა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში პარტია, წარმოუდგენელია, რეიტინგების გარეშე ხელმძღვანელობდეს. მე რაღაც ვერ ვატყობ, რომ „ქართული ოცნება“ რეიტინგებით ხელმძღვანელობდეს.

ე.წ. ახალგაზრდების გუნდი დიდად რეიტინგული რომ არ არის, ამას რად უნდა თქმა. ეს ჩანს და ღიად იკითხება. საამისოდ დიდი სოციოლოგიური კვლევები არ არის საჭირო. პარლამენტი, გარდა იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანოა, ასევეა მთავარი პოლიტიკური ორგანო. პარლამენტი არის სწორედ ის ადგილი, სადაც პოლიტიკა კეთდება. მთავრობა საქმეს უნდა აკეთებდეს, პოლიტიკას კი – პარლამენტი.

***– თქვენ ამბობთ, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკას ურეიტინგო ადამიანები აკეთებენ?***

– დიახ, სწორედ ასეა. ჩვენ კარგად ვნახეთ, რომ ამ ე.წ. ახალგაზრდების გუნდმა არჩევნები ვერ მოაგებინა ბიძინა ივანიშვილს. მეტიც, ივანიშვილს ძველი გვარდიის მობილიზება დასჭირდა, ანუ ეს ახალი სახეები გამოცდილია უკვე და მათ გამოცდა ვერ ჩააბარეს. საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ ხომ ცნობილია. ეს განწყობები სახარბიელო არ არის.

***– თქვენ ამბობთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება სწორი სტრატეგიაა?***

– დიახ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. თუ მხოლოდ ღარიბაშვილის დაბრუნებით დასრულდა „ქართული ოცნების“ ე.წ. ძველი გვარდიელებით შევსება, მაშინ ეს დიდად შედეგიანი არ იქნება. საკმარისი არ იქნება. ამდენად, ახალი სახეების მოძიებაც არ არის სწორი სტრატეგია. 2016 წელს განახლდა „ქართული ოცნება“, მაგრამ რა მოუტანეს ამ ახალმა სახეებმა მათ? – არაფერი.

***– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია რამდენად რეალური შეიძლება იყოს?***

– დროდადრო ამოტივტივდება ხოლმე ვადამდელი არჩევნების შესახებ ინფორმაცია, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ეს რეალობასთან ახლოს იყოს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უბრალოდ, დროში ვერ მოესწრება. ეს ხომ არ არის ერთი რომელიმე ოლქის არჩევნები, საუბარია საპარლამენტო არჩევნებზე. არა მგონია, რომ ვადამდელი არჩევნები იყოს.




ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოპოზიცია იტყვის, მოვითხოვეთ და მივიღეთო, მაგრამ, მერწმუნეთ, ვადამდელი არჩევნებისთვის ახლა არავინ არის მზად, არც „ქართული ოცნება“ და არც ის ოპოზიცია, რომელიც ამას ითხოვს.

# გადადგა თუ არა თეა წულუკიანი

## დავით ზალკალიანი და დავით ბაქრაძე თანამდებობებს გაცვლიან

შორენა მარსაგიშვილი



მმართველ პარტიაში უკვე ღიად საუბრობენ მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე. ეს ცვლილებები, როგორც ამბობენ, ისედაც დაგეგმილი იყო, მაგრამ თიბისი ბანკის გარშემო აგორებულმა სკანდალმა რაღაცები შეცვალა და „ოცნება“ იძულებულია პროცესები დააჩქაროს.

8 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თანამდებობა დატოვა. ეს ინფორმაცია „ოცნებაში“ რამდენიმე მედიასაშუალებას დაუდასტურეს. ინფორმაციას „ახალ თაობასაც“ უდასტურებენ. თუმცა საჯაროდ იუსტიციის მინისტრის გადადგომას არავინ არ ადასტურებს.

არის ვარაუდი, რომ ეს ამბავი მომავალ კვირას, სამუშაო დღეებში გახმაურდება. ოპოზიცია და ხელისუფლების მოწინააღმდეგეები უკვე ზეიმობენ წულუკიანის წასვლას. მის გადადგომას უკვე დიდი ხანია ითხოვენ ოპონენტები, მაგრამ ივანიშვილი მას აქამდე ვერ შეელია.

ხმები მისი შესაძლო გადადგომის შესახებ ადრეც გავრცელდა. იმ პერიოდისთვის „ოცნება“ ჯერ კიდევ მყარად იდგა ფეხზე და არც ეკა ბესელიას ეჩვენებოდა მურუსიძე პირსისხლიან ჯალათად. მაშინ „ოცნების“ კულუარებში ითქვა, რომ წულუკიანი საფრანგეთში საქართველოს ელჩად დაინიშნებოდა. მის ადგილს კი პარლამენტის ვიცე-სპიკერი დაიკავებდა.

წულუკიანს, როგორც უკვე ვთქვით, ივანიშვილი ვერ ელეოდა. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო გვეუბნება, რომ იუსტიციის მინისტრის გადადგომა შესაძლოა ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებასთან იყოს დაკავშირებული.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, იუსტიციის მინისტრს და ღარიბაშვილს დიდი უთანხმოება აქვთ. ყველას გემახსოვრებათ ის დრო, როცა „ოცნებაში“ დაბრუნებული პრემიერი იყო. მაშინ ბევრს საუბრობდნენ მის ნათესავებზე. პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ ღარიბაშვილის „კეთილისმსურველებმა“ ივანიშვილს დასტა-დასტა აუტანეს მასალები პრემიერის ნათესავებზე.

ჩვენი წყარო ამბობს, რომ ერთ-ერთი, ვინც ივანიშვილს კომპრომატებით სავსე საქაღალდეები აუტანა, თეა წულუკიანი იყო. აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ ღარიბაშვილს მასზე მზე და მთვარე არ ამოსდის.

„ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ყოფილმა პრემიერმა მოითხოვა თეა წულუკიანის გადადგომა.

გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობას დატოვებს განათლების მინისტრი ბატიაშვილიც. „ოცნებაში“ მის შემცვლელად ზურაბ ხონელიძეს განიხილავენ. ეს უკანასკნელი სოხუმის უნივერსიტეტის რექტორია.

ცვლილებები მოხდება საგარეო საქმეთა სამინისტროშიც. მედიაში 8 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ დავით ზალკალიანი და დავით ბაქრაძე თანამდებობებს გაცვლიან.

დავით ბაქრაძე რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდებოდა, ამის შესახებ „ახალი თაობა“ ერთი თვის წინ წერდა. ამ ინფორმაციას „ოცნებაში“ ახლა ადასტურებენ და ამბობენ, რომ ბაქრაძის მინისტრად დანიშვნის შემთხვევაში, მოქმედი მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩად დაინიშნება. აშშ-ში საქართველოს ელჩი ამჟამად დავით ბაქრაძეა.

თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ პრემიერის მოვალეობას გიორგი გახარია შეასრულებდა. მამუკა ხაზარაძის სკანდალური განცხადების შემდეგ მისმა შანსებმა მკვეთრად იკლო. ის შეიძლება ისევ შს მინისტრად ჩატოვონ, ან საერთოდ გაუშვან მთავრობიდან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ გახარიას „ოცნებაში“ თავისი გუნდი არ ჰყავს და მას მმართველი პარტიის დიდი ნაწილი ვერ იტანს. ალბათ ამით არის გამოწვეული, რომ ხაზარაძის ბრალდებებისგან ის ძალიან ლაითად დაიცვეს.

გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობას დატოვებს ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულიაც.

სამთავრობო ცვლილებები „ოცნებას“ გუნდის შიგნით არსებული დაძაბულობის გასანეიტრალებლად სჭირდება. თუმცა არაა გამორიცხული, ამ ცვლილებებმა სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბოს.

* * *

სიტუაცია იძაბება გაერთიანებულ ოპოზიციაშიც. ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით „ევროპულმა საქართველომ“ და გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალმა პარტიებმა კონსულტაციები გამართეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ შეხვედრას მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ესწრებოდნენ.

გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალი პარტიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ ამ შეხვედრის შესახებ მედიის მეშვეობით გაიგეს.

— მე არ ვესწრებოდი ამ შეხვედრას და გაკვირვებული ვარ თუ ასეთი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ეს ალბათ არის მოლაპარაკებები ნაციონალურ მოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“ შორის. ეს არ ეხება გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალ პარტიებს, რადგან ამ კოალიციაში შემავალი პარტიები საქმის კურსში არ იყვნენ. მიკვირს, რომ ასეთი განცხადებები ვრცელდება. თუ ორი პარტია შეთანხმდა, მათ შეუძლიათ ორ პარტიას შორის შეთანხმება გააფორმონ, მაგრამ არა გაერთიანებული ოპოზიციის სახელით, სადაც არ ყოფილა ამ საკითხზე მსჯელობა “ — აცხადებს „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია.

კონსულტაციების გამართვის ფაქტს უარყოფს პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერი ნიკა მაჭუტაძეც.

— არანაირი შეხვედრა და კონსულტაციები არ ყოფილა. გაერთიანებული ოპოზიციის სახელით ამ თემაზე შეხვედრა არ ყოფილა, — აცხადებს მაჭუტაძე.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ნიკა მელიას ინფორმაციით, „ევროპულ საქართველოსთან“ გამართული კონსულტაციები შუალედურ არჩევნებს ეხებოდა.

— მიმდინარე წლის მაისში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში შუალედური არჩევნებია და ამ საკითხზე კონსულტაციები გავმართეთ. ჩვენთვის და მათთვის საინტერესოა თუ სად ვაპირებთ მონაწილეობის მიღებას. დაახლოებით 30 ოლქშია შუალედური არჩევნები და არ გვინდა, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთს ხმები წაართვან, — აღნიშნა ნიკა მელიამ.

ცნობისათვის, მიმდინარე წლის 19 მაისს შუალედური არჩევნები ჩატარდება საგარეჯოს, ადიგენის, ახმეტის, ზესტაფონის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში. ასევე შუალედური არჩევნებით მერებს აირჩევენ მარნეულში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ზუგდიდში, ხულოში. თბილისში კი, ვადამდელი არჩევნები მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში ჩატარდება, რომლის მაჟორიტარი დეპუტატი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იყო.

# ვასილ სოფრომაძე: „მოგიწოდებთ, ნუ ექცევით ბიზნესს, როგორც ქუჩის ქალს! დამიჯერეთ, ბიზნესი საკადრის პასუხს გაგცემთ“

კომპანია „ფრესკოს“ დამფუძნებელი, ბიზნესმენი ვასილ სოფრომაძე პოლიტიკოსებს მიმართავს. ვიდეომიმართვაში სოფრომაძე ბიზნესისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას მწვავედ აკრიტიკებს და პოლიტიკოსებს გონზე მოსვლისკენ მოუწოდებს.

— მე არ ვარ არც ერთი ასოციაციის, არც ერთი ფედერაციის წევრი. არაფრის პრივატიზება არ გამიკეთებია ცხოვრებაში არც საქართველოში და არც სხვა ქვეყნებში, სადაც ბიზნესი მიკეთებია. არასდროს ვყოფილვარ შემჩნეული რომელიმე მთავრობასთან მეგობრობაში საქართველოში ან ყოფილის, ან ახლანდელის. მე, ვასო სოფრომაძე, არ ვარ გაჩერებული, მე ხმას ვიღებ, მე ვლაპარაკობ, მე ვიბრძვი და მერე რა, რომ მე ერთი წელიწადია უკვე ჰაერში დაკიდებული ვყავარ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სტრუქტურებს, რომლებმაც ყველა რეგლამენტის დარღვევით ვერ დადეს საგადასახადო დასკვნა, ვინაიდან იციან, რომ აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. მათ არც იმან უშველა, რომ ჩვენ მოვიწვიეთ მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანიების დიდი ოთხეულიდან ერთ-ერთი და მან დადო დასკვნა, რომელმაც ქვა-ქვაზე არ დატოვა ყველა იმ შენიშვნიდან, რომელიც საგადასახადო სტრუქტურებმა ჩვენ წაგვიყენეს. მერე რა, რომ მე ამის შესახებ ღიად ვილაპარაკე, მერე რა, რომ მე პროკურატურაში შევიტანე ჩემი საჩივარი, მერე რა, რომ მე ფინანსთა მინისტრს წერილი მივწერე, მერე რა, რომ მე ამაზე ღიად ვლაპარაკობ, რამე შეიცვალა, რამე მოხდა? რას გვეუბნებით ჩვენ თქვენ? — მე თქვენ მოგმართავთ — პოლიტიკოსებს. ჩვენი გადასახადებით, ჩვენი თანხებით დაფინანსებული დადიხართ ჩვენს ავტოგასამართ სადგურებში და ასხამთ ბენზინს, დადიხართ ჩვენს მარკეტებში და ყიდულობთ პროდუქციას, დადიხართ ჩვენს ბანკებში და ღებულობთ მომსახურებას, თქვენ ჩვენ გეუბნებით ამას? თქვენ მიიყვანეთ ეს ქვეყანა აქამდე, თქვენ, ბატონებო, თქვენ — ყველა თქვენთაგანმა და არა ოპოზიციამ, ერთმანეთთან კინკლაობით, ერთმანეთში გაუგებრობებით. რა გინდათ თქვენ, რა? — ამ მშიერმა ხალხმა... მე ხალხის სახელით კი არ ვლაპარაკობ, მე ვლაპარაკობ იმას, რასაც ვგრძნობ, რომ ხალხს უჭირს. ღერღილზე და სიმინდის ფქვილზე და 5 და 10 ლარზე მოგცათ ხმა და თქვენ არ იცით, როგორი პოლიტიკოსები ხართ თქვენ და საიდან მოხვედით და როგორ მოხვდით პარლამენტში, არ იცით? — რა გინდათ ჩვენგან, რა გავაკეთოთ? გეკითხებით, რა გავაკეთოთ? გვეუბნებით, საკუთარი თავი დაიცავითო? ველური დასავლეთია? ვინჩესტერი ავიღოთ ხელში? რა გინდათ, რომ გავაკეთოთ? ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ თუ რამე არასწორად ხდება, არ უნდა იყოს სასჯელი. ჩვენ ვამბობთ, რომ გამოიძიეთ, დაუმტკიცეთ და დასაჯეთ. სად არის პრეზუმპცია, რომ ადამიანი თავიდან მართალია? მე, ვასო სოფრომაძემ, რა გავაკეთო, გარდა იმისა, რასაც ვაკეთებ? იმის გამო, რასაც ვამბობ, გგონიათ, მე მეშინია? ვინც არ უნდა აბაკუნოს ფეხი თქვენს წყნარ პოლიტიკურ კაბინეტებში, თქვენ გგონიათ, მე თქვენი მეშინია და თქვენ მე გამაჩერებთ? როგორ ფიქრობთ, თქვენ მე ხმას ჩამაგდებინებთ? ყოველდღე რომ ეუბნებით ჩვენს ხალხს და ჩვენ, რომ ცხვრები ვართ, თქვენ მე მართლა ცხვარი გგონივართ? როგორ ფიქრობთ, ბატონებო? — ყველაზე დიდი პრობლემა იცით რა არის? თქვენ, უმეტესობა ცხვრები, მგლების ტყავში გადაცმულები რომ ჭკუას და ნოტაციას გვიკითხავთ.



ხშირად მსმენია, არ უნდა იყოს ამ ქვეყანაში და არც ერთ ქვეყანაში გამორჩეული ბიზნესმენები. ვეთანხმები ამას. არ უნდა იყოს, დავამატებ, არც გამორჩეული ბიზნესები უნდა იყოს, მაგრამ სწორია, როცა ჩემი კონკურენტი კომპანია „კარფური“ დღემდე არ იხდის დღგ-ს გადასახადს და მილიონობით ლარი არ შედის სახელმწიფოს ბიუჯეტში? ეს ჩემი ბრალია და ეს არის თქვენი სწორი მიდგომა ბიზნესის მიმართ? თქვენ როგორ ფიქრობთ, იმას, რასაც ჩვენ ვფლობთ, იმ ინფორმაციას, მაგალითად, ფინანსთა სამინისტროში, იმ საკითხებზე, რაზეც გვედავებიან, თქვენ მართლა გინდათ დაგიდოთ კადრები, როგორ იპარავენ თქვენი თანამშრომლები? — პასუხს ვაგებ ჩემს ყველა სიტყვაზე — როგორ იპარავენ თქვენი თანამშრომლები, თქვენი დეპარტამენტების წამყვანი სპეციალისტები ჩემს მაღაზიებში? როგორ ატრიალებენ იარაღს ახალგაზრდა გოგოების წინაშე თქვენი თანამშრომლები, დაცვის თანამშრომლები, გინდათ დაგიდოთ ეს ყველაფერი?

მე არ მინდოდა, რომ ასე ემოციური ყოფილიყო ჩემი გამოსვლა. მინდოდა, უფრო ცივილურ, მშვიდ ტემბრში მელაპარაკა თქვენთან — თქვენ გზას არ გვიტოვებთ.

მოგიწოდებთ, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, ნუ ექცევით ბიზნესს, როგორც ქუჩის ქალს. ბიზნესი საკადრის პასუხს გაგცემთ, დამიჯერეთ. როცა ერთ მშვენიერ დღეს თქვენ გამოხვალთ თქვენი სახლებიდან — თქვენ, პოლიტიკოსებს გეუბნებით და ვერ ჩაასხამთ ბენზინს ბენზინგასამართ სადგურში, ვერ იყიდით პროდუქტს ჩვენს მარკეტებში, ვერ მიიღებთ მომსახურებას ჩვენს ბანკებში და ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ.

გონს მოეგეთ, მე გირჩევთ. არც იმის განცდა მაქვს, რომ თქვენ მე ამას შემარჩენთ. ჩემი მისამართი ხომ იცით? სადაა ჩემი სათავო ოფისი, ხომ იცით? ყველაფერი ინფორმაცია ხომ გაქვთ ჩემზე? მე გელით! მე ჩემსას გავაკეთებ, მე ჩემსას მივაღწევ. „კაპიკს“ ვერ აიღებთ ჩემგან“, — ნათქვამია პოლიტიკოსებისადმი ვასილ სოფრომაძის მიმართვაში.

### ჯორჯიან ეარვეისი: „თურქული კომპანია თბილისის აეროპორტიდან ფრენის საშუალებას არ გვაძლევს“

ავიაკომპანია ჯორჯიან ეარვეისის საგანგებო განცხადებას ავრცელებს. როგორც წერილში წერია, თურქული კომპანია „ტავ ურბან ჯორჯია“ ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისს“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენების განხორციელების საშუალებას არ აძლევს და ითხოვს, არარეალური ვალების დაფარვას, რისი ერთადერთი მიზანიც ავიაკომპანიის და მისი მგზავრების გაძარცვაა.

ისეთი გადასახადები, როგორიც „ტავ ურბან ჯორჯიას“ აქვს დაწესებული, არ არსებობს ევროპის თითქმის არც ერთ აეროპორტში. ჯორჯიან ეარვეისის ხელმძღვანელობა თვლის, რომ „ტავ ურბან ჯორჯიას“ მმართველობის პირობებში, შეუძლებელია ქართული ავიაციის ფუნქციონირება და შემდგომი განვითარება.

„ტავ ურბან ჯორჯიას“ წელიწადში სუფთა მოგების სახით 400 მილიონ ლარზე მეტი გააქვს საქართველოდან, სანაცვლოდ კი თბილისში, რეგიონში ყველაზე ცუდი აეროპორტი გვაქვს, ხოლო ბათუმის აეროპორტში გაუსაძლისი პირობებია. „ტავ ურბან ჯორჯია“ უარს ამბობს მოსაკრებლის შემცირებაზე, ქართული ავიაცია კი სულ უფრო და უფრო ზარალდება.

„ტავ ურბან ჯორჯიას“ ტაქსის ფასებიც კი კაბალური აქვს. მაგალითად, თუ თბილისის აეროპორტში ჩამოსული მგზავრი მოინდომებს თბილისის ცენტრამდე ტაქსით წასვლას, მოუწევს ისარგებლოს ტავის ტაქსით, რაც, სულ მცირე, 45 ლარი დაუჯდება (აეროპორტის ტერიტორიაზე სხვა ტაქსის დგომის/დალოდების უფლებას არ აძლევენ).

მივმართავთ თხოვნით საზოგადოებას, ჩვენს როგორც არსებულ, ისე პოტენციურ მგზავრებს, ყველას, ვინც თვლის, რომ „ტავ ურბან ჯორჯია“ არ უნდა მართავდეს საქართველოს აეროპორტებს, დაგვიდექით გვერდში და სამშაბათს, 12 მარტს, 15:00 საათზე, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთად გავაპროტესტოთ „ტავ ურბან ჯორჯიას“ კაბალური მმართველობა ჩვენს ქვეყანაში, — წერია განცხადებაში.

კომერსანტი

### ირაკლი ლექვინაძე: „ბიზნესმენების მიმართ არაკორექტული მოწოდებები მიუღებელია“

საქართველოში ბიზნესმენები არიან ის ადამიანები, რომლებმაც ყველაზე კარგად იციან საქმის კეთება და მათ მიმართ არაკორექტული მოწოდებები მიუღებელია. — ასე ეხმაურება ბიზნესომბუდსმენი პოლიტიკოსების მხრიდან ბიზნესმენების მიმართ ბოლო პერიოდში გაკეთებულ განცხადებებს.

ირაკლი ლექვინაძის თქმით, პოლიტიკოსები საკუთარი შეფასებებით და განცხადებებით არ უნდა უშლიდნენ ხელს ბიზნესმენებს, აკეთონ თავიანთი საქმე და პოლიტიკური სპეკულაციების საგანი გახადონ მათი საქმიანობა.

კითხვაზე, არის თუ არა დღეს ქვეყანაში ბიზნესზე ზეწოლა და მიმართავენ თუ არა ბიზნესომბუდსმენის აპარატს მსგავსი შინაარსის პრობლემებით, ირაკლი ლექვინაძე ამბობს — „მე შემიძლია გესაუბროთ ბევრ პრობლემურ საკითხზე, რომელიც დღეს ბიზნესს აწუხებს, თუმცა საუბარი ქვეყანაში ტოტალურ ბიზნესტერორზე უსაფუძვლოა. ჩვენ მზად ვართ ყველა ბიზნესპრობლემაზე ვიმუშაოთ, მინიმუმ გვქონდეს ჩვენი აქტიური პოზიცია და მაქსიმუმ ვიმოქმედოთ ჩვენ ხელთ არსებული ყველა მექანიზმით მათ მხარდასაჭერად. 2018 წელს 365 საქმეზე ვიმუშავეთ და 65%ში მოვახერხეთ, რომ სახელმწიფო უწყებებმა გაითვალისწინეს კერძო სექტორის ინტერესი.

კომერსანტი

# ილებენ თუ არა ყურად სალომე ზურაბიშვილის მოწოდებებს ევროპაში?

## საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ დაინტერესება იკლებს

მარიამ მჭედლიშვილი

უცხოელი ექსპერტების ვარაუდით, ევროპა დიდად არ გამოეხმაურება საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მოწოდებებს.

საქართველოს პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ევროპაში ვიზიტის დროს მიმართა საქართველოს პარტნიორებს, დაამყარონ დიალოგი რუსეთთან და მოახდინონ მათზე ზეწოლა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების გამო.

ამასობაში, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სიტუაცია უარესდება. გალიდან მიღებული ინფორმაციით, დაპირებულ აფხაზურ პასპორტებს ყველა ქართველს არ აძლევენ. საუბარია მათზე, ვინც საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა.

ცოტა ხნის წინ გალში მცხოვრები ქართველების ნაწილმა გადაწყვიტა, აფხაზებად ჩაეწერონ, ანუ, ადმინისტრაციის განმარტებით, „ნამდვილ ფესვებს“ დაუბრუნდნენ. მათ პასპორტების მიღებაზე დაბრკოლებები არ უნდა შეხვდეთ.

ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების კუთხით გაუარესებულ სიტუაციაზე თებერვალში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ბოლო სესიაზე გამოსვლისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ისაუბრა. მან გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილისა და დავით ბაშარულის საქმეებზე მართლმსაჯულების აღუსრულებლობაც ახსენა.

ევროპის ორი ორგანიზაცია ჩართულია ჟენევის მოლაპარაკებებში, თუმცა, ევროკავშირის მხრიდან ჩვენი კონფლიქტებისადმი ინტერესის გაქრობაზე უკანასკნელ ხანს ყურადღება გაამახვილა ბრიტანელმა მკვლევარმა თომას დე ვაალმა.

ევროპულ ქვეყნებსა და ევროსტრუქტურებში არსებობენ პოლიტიკოსები და ჯგუფები, რომლებიც კრემლის ინტერესებს ატარებენ. ეს მათგან გამორიცხავს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე სწორი გადაწყვეტილებების მიღებას.

ბოლო დროს ამ მხრივ ევროპულმა მედიამ ამხილა იტალიის ვიცეპრემიერი და შს მინისტრი მატეო სალვინი. იგი კონსერვატიული მიმდინარეობის „ჩრდილოეთის ლიგის“ პარტიის ლიდერია. ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, სალვინი დიზელის საწვავის ყიდვა-გაყიდვის საფარქვეშ რუსეთიდან დიდ დაფინანსებას იღებს. ამჟამად მოსკოვი სალვინისა და მის პარტიას ევროპარლამენტის არჩევნებისთვის ამზადებს.

იტალიის ბოლო საპარლამენტო არჩევნების წინ, როცა სალვინის თანხები შემოაკლდა, მას ხელი



გაუმართა ორგანიზაცია როსსოტრუდნიჩესტვომ. ეს სტრუქტურა ოფიციალურად მეცნიერებისა და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განხრით 25 ქვეყანაში მუშაობს და, წესით, კულტურული ღონისძიებების მოწყობა ევალება. სინამდვილეში, როსსოტრუდნიჩესტვო რუსეთის რბილ გავლენას ავრცელებს, განსაკუთრებით ევროპაში.

თუ სალვინის „ჩრდილოეთი ლიგა“ მომავალ ევროპარლამენტში სოლიდურ მანდატებს მიიღებს, იქაც კრემლის პოლიტიკას გაატარებს.

რუსული ინტერესების გატარებაში ახლანდელი ევროპარლამენტის მწვანეების გავლენიანი წარმომადგენელი ფინელი ჰეიდი ჰაუტალუც ამხილეს. იგი ეწინააღმდეგება რუსეთის საწინააღმდეგო ანტიკორუფციული გადაწყვეტილებების მიღებასა და სანქციებს მოსკოვის წინააღმდეგ.

თუ საქართველო თავისი პრობლემების მოგვარებაში მხოლოდ ევროპელ პოლიტიკოსებს დაეყრდნო, შორს ვერ წავა. აუცილებელია მუშაობა ყველგან, განსაკუთრებით, არაღიარების მხრივ.

აშშ აპირებს კუბაზე ზეწოლის გაძლიერებას. რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატების აღიარებით, მოსკოვი თავის დროზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების მიღწევის მიზნით ჰავანასთანაც მუშაობდა, მაგრამ იმ დროს ვაშინგტონმა კუნძულოვან სახელმწიფოსთან ურთიერთობა გამოასწორა და ეს კამპანია ჩაიშალა. დღეს თუ კუბა ამერიკულ სანქციებს შეეწინააღმდეგა, შეიძლება, რუსეთს ეს დაკვეთა შეუსრულოს.

არაღაიარების პოლიტიკის დარღვევის რისკები ასევე არსებობს რუსეთზე დამოკიდებული ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მხრიდან.

# გიორგი კეპულაძე: „ბიზნესმენები პარლამენტში საკუთარი ბიზნესის დასაცავად მიდიან“

იაგო ნაცვლიშვილი

თიბისის დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის შემდეგ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე კიდევ რამდენიმე ბიზნესმენი ალაპარაკდა. შერჩევითობასა და ზეწოლის ფაქტებზე ვიდეომიმართვა გაავრცელა სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოს“ დამფუძნებელმა ვასილ სოფრომაძემ და ასევე ბიზნესმენმა თამაზ ელიზბარაშვილმაც.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბიზნესზე ზეწოლა სისტემური ხასიათისაა, ამით ხომ არ უნდა აიხსნას წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი გუნდის სასარგებლოდ გაკეთებული შემოწირულობები და მიდიან თუ არა საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის ბიზნესმენები მმართველ გუნდში? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე **გიორგი კეპულაძე** საუბრობს.

***– რამდენიმე ბიზნესმენი ალაპარაკდა, რომ ხელისუფლების მხრიდან ხდება ზეწოლა. მიანიშნებს თუ არა ეს იმას, რომ ბიზნესზე ზეწოლა ისეთივე სისტემური ხასიათისაა, რაზეც წინა მმართველობის დროს საუბრობდნენ?***

– შედარება რამდენადაც გამოვა არ ვიცი და რამდენად სისტემური ხასიათი აქვს, მაგრამ ერთი რამ, რაც მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ზოგადად ბიზნესმენებს არ უყვართ ხელისუფლების წინააღმდეგ რაღაც სისტემურ დანაშაულებზე განცხადებების გაკეთება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ასეთ განცხადებას სათანადო ყურადღება მიექცეს. არავინ არ „გაატაროს“ და არ თქვას, რომ ეს „გადაგორდება“. თუ მართლა ადგილი აქვს ბიზნესზე ზეწოლას, ეს დროულად უნდა აღიკვეთოს.

სამწუხაროდ, ამის აღქმა ქვეყანაში სულ არსებობს, რომ ზეწოლა თუ არაა, ყოველ შემთხვევაში, რაღაცები არაფორმალურად ლაგდება. მით უმეტეს, მსხვილ ბიზნესში. ეს კი ხელს არც ბიზნესგარემოს განვითარებას უწყობს და არც ინვესტიციების მოზიდვას. არავის უნდა ფული ჩადოს იქ, სადაც არა კანონით და სასამართლოთი გადაწყდება დავები, არამედ არაფორმალურ პირებთან მოლაპარაკებით.

***– ანუ უცხოელ ინვესტორებზეც შეიძლება ახდენდნენ ზეწოლას?***

– როდესაც აღქმა ხდება ქვეყანაში, რომ აქ ხდება გარკვეული დარღვევები, როდესაც შესაძლებელია, რომ ადგილობრივ ბიზნესმენზე ვიღაცამ მოახდინოს ზეწოლა, შემდეგ ძალიან რთულია საუბარი იმაზე, რომ კარგი ბიზნესგარემოა და ღირს ფულის ჩადება.

მე არ ვფიქრობ, რომ ამ ქვეყანაში საინვესტიციო გარემო კარგი არ არის, მაგრამ კანონმდებლობიდან გამომდინარე ასეა. თუმცა, ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რასაც ყურადღებას აქცევს როგორც ქართველი მსხვილი ბიზნესმენები, ასევე უცხოელი ინვესტორები, არის სასამართლო სისტემა. გამართული სასამართლო სისტემის გარეშე არა თუ პოლიტიკური პროცესი და კრიმინოგენური მდგომარეობა ვერ გამოსწორდება, არამედ ბიზნესსაც სერიოზული პრობლემა შეექმნება. წარმოუდგენელია, რომ ქვეყანა ეკონომიკურადაც გაძლიერდეს დამოუკიდებელი სასამართლოს გარეშე.

ამიტომ, ბევრი ფაქტორია, სადაც ხელისუფლების რომელიმე შტო შესაძლოა ცუდად და ბოროტად იყენებდეს საკუთარ გავლენას. ამიტომ, ასეთ ფაქტებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, თუ ნამდვილად არსებობს ინტერესი იმის, რომ ქვეყანაში კარგი ბიზნესგარემო იყოს და არც ერთ ადამიანს არ შეექმნას პრობლემა.

აქ საუბარი იმაზე ხომ არ არის, რომ მსხვილ ბიზნესს



პრობლემა თუ შეექმნა, ჩვენ რა გვენაღვლება. ამ მსხვილ ბიზნესმენს დასაქმებული ჰყავს უამრავი ადამიანი. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არც ერთ ადამიანს არ შეექმნას პრობლემა.

***– სასამართლოს პრობლემა გასაგებია, მაგრამ თქვენც აღნიშნეთ, რომ „ლაგდება“ შიგნით ბიზნესი და ხელისუფლება. ეს ხომ ნიშნავს, რომ რეალურად სასამართლომდე არც კი მიდიან? ეს ცალკე პრობლემა არ არის?***

– რა თქმა უნდა. ჩაკეტილი წრეა, რომლის გარღვევაც ვერ ხერხდება წლების განმავლობაში. შევარდნაძის პერიოდიდან დაწყებული, ნაციონალური მოძრაობის მმართველობით გაგრძელებული და ახლაც, სულ არის იმის აღქმა, რომ ვიღაცის ინტერესებში შედის. იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი თუ არაფორმალური პირი. ვიღაცის ინტერესებში თუ შედის რაღაც, ეს საქმე ან შეიძლება სწრაფად მოგვარდეს სასამართლოს დავის გარეშე, ან პირიქით. მაქსიმალურად გაიწელოს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ეს ჩაკეტილი წრე როგორმე უნდა გავარღვიოთ.

***– როგორ?***

– ამას სჭირდება საზოგადოების მხრიდან მაქსიმალური ზეწოლა. საზოგადოებრივი აზრი მაქსიმალურად მოტივირებული და მომართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ეს ყველაფერი დასრულდეს.

პოლიტიკური ნებაც, რა თქმა უნდა, სჭირდება ამას, მაგრამ პოლიტიკოსების ნებას განსაზღვრავს საზოგადოება. განათლებული საზოგადოება ფინანსურადაც, ისედაც. რომელიც მოტივირებულია, გრძნობს საკუთარ ძალას და იცის, რომ შეუძლია ცვლილებები, არ არის ნიჰილისტური და უიმედო. დარწმუნებულია, რომ თუნდაც არჩევნების გზით შეცვალოს ის ხელისუფლება, რომელიც მის ინტერესებს არ აკმაყოფილებს.

***– ანუ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზეც საუბრობთ?***

– არ მომწონს დამოკიდებულება, რომ ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლით, ეს ასე იქნება, ამიტომ ამას ან უნდა შევეგუოთ, ან უნდა გავიქცეთ და ა. შ. თავს ვერ მოვიტყუებთ, რომ ყველაფერი ასეა. შეიძლება ქვეყანა ეკონომიკურადაც წინ მიდიოდეს ერთი ხელისუფლებიდან მეორემდე. ერთი ხელისუფლებიდან მეორემდე დადებითი ცვლილებები ხორციელდებოდეს, მაგრამ აუცილებლად ხაზგასასმელია ის, რომ ჩვენ გვინდა მეტი. საზოგადოებას აქვს მეტის მოთხოვნა. საზოგადოება უფრო და უფრო მეტს რომ მოითხოვს, ამისთვის პოლიტიკოსები მზად უნდა იყვნენ. თუ ამისთვის მზად არ არიან, მაშინ იმისთვის უნდა იყვნენ მზად, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით შეიცვლებიან, მოვა ის ხელისუფლება, რომელიც ეცდება თავის ვადაში გააკეთოს უკეთესი საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის.

***– ბიზნესმენებს არ უყვართ ხელისუფლებასთან დაპირისპირება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წინასაარჩევნო შემოწირულობების დიდი ნაწილი მმართველი პარტიისკენ მიდის. როცა ვხედავთ, რამდენი ბიზნესმენია საპარლამენტო უმრავლესობაში, ერთგვარი დაცულობის შეგრძნება ხომ არ აქვთ ბიზნესმენებს ამით?***

– ესეც ძალიან მანკიერი ტრადიციაა. ეს არის ძალიან საშიში პრეცედენტი, როდესაც ბიზნესი და ხელისუფლება ძალიან გადაჯაჭვულია. ტერმინიც არსებობს – ქრონოკაპიტალიზმი, სწორედ ეს არის.

ეს ძალიან საშიშია ჩვენნაირი ქვეყნისთვის. ბიზნესი და პოლიტიკა იმდენად არეულია ერთმანეთთან, როცა ზღვრის გავლება ჭირს. ჩვენ ქვეყანაში ხდებიან დეპუტატები, რომლებსაც აქვთ მილიონიანი ბიზნესები. ისინი ამით ცდილობენ, რომ საკუთარ ბიზნესს შეუქმნან გარანტიები და თვითონ იყვნენ კარგად. ხაზს ვუსვამ საკუთარ ბიზნესს და არა ზოგადად ბიზნესს. შესაბამისად, ისინი ამით ცდილობენ, რომ თავისი პირადი კავშირებით მოაგვარონ პრობლემები.

ბევრმა მათგანმა ისიც იცის, რომ სასამართლოში სიარული მოითხოვს დროს, შეიძლება მოიგო, მაგრამ საბოლოოდ მოგებული ვერ დარჩე, იმიტომ, რომ იმდენი დრო და რესურსი დახარჯო, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური, რომ მოგება აღარც კი გიღირდეს. შესაბამისად, ისინი ცდილობენ მათ დაელაპარაკონ, ვინც რეალურად ფლობს ძალაუფლებას. საუბარია ხელისუფლებაზე, რომელსაც აქვს კონტროლი სხვადასხვა შტოებსა თუ რეგულატორებზე.

ეს მანკიერი ტრადიცია უნდა დასრულდეს და ამის ერთ-ერთი გზა იქნება პროპორციული არჩევნები და უკვე 2020 წელს გადავიდეთ ამ სისტემაზე. პოლიტიკურ პარტიებს აღარ მივცეთ იმის საშუალება, რომ მაჟორიტარებად წარმოგვიდგინონ არა პოლიტიკოსები, არამედ ბიზნესმენები. ასევე ის, რომ ტენდერები არ მოიგონ მარტო მმართველი პარტიის შემომწირველებმა.

***– არის დიდი ხმაური ბიზნესის გარშემო. სად არის ბიზნესომბუდსმენი? ხედავთ აქტიურად ჩართულს ამ პროცესში?***

– ირაკლი ლექვინაძემ რაღაცა განცხადება გააკეთა თიბისის საქმეზე. მაგრამ, როდესაც ბიზნეს-ომბუდსმენი სახელმწიფოს მიერ არის დანიშნული და როდესაც სახელმწიფო უხდის მას ფულს, რეალური ძალაუფლება მას ვერ ექნება. ილუზია არ მიჩნდება, რომ ბიზნესომბუდსმენმა რაღაცა შეიძლება გააკეთოს. ანუ მისი დამოუკიდებლობის გარანტიები უნდა იყოს ძალიან მაღალი. ის როგორც პიროვნულად, ასევე ფინანსურადაც არ უნდა იყოს დამოკიდებული ხელისუფლებაზე. მინიმუმ სახალხო დამცველის დონის დამოუკიდებლობა მაინც უნდა ჰქონდეს.

ამის უზრუნველყოფა ხდება კონსტიტუციითა და სხვადასხვა კანონით. ბიზნესომბუდსმენი უნდა იყოს კომუნიკაციის ჯაჭვი ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის და არ უნდა ცდილობდეს რაღაცის მიღწევას ნაცნობობითა თუ ნეპოტიზმით. საქართველოში ეს ძალიან გავრცელებული თემაა.

ბიზნესის წარმომადგენლებსაც რომ დაველაპარაკოთ, იტყვიან, რომ მაინც ასე ლაგდება, ვერაფერს ჩვენ ვერ შევცვლით და ა. შ. ეს ნიჰილისტური დამოკიდებულება, საბოლოო ჯამში, იწვევს იმას, რა მდგომარეობაშიც ჩვენ ვართ.

საზოგადოებამ უნდა ირწმუნოს, მით უმეტეს, ბიზნესმა საკუთარი ძალა იმაში, რომ როცა აზრს გამოხატავს, ამას მოჰყვება მკვეთრი ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან. ხელისუფლებას კი უნდა ეშინოდეს, რომ თუ ის არ შეასრულებს ხალხისთვის მიცემულ დანაპირებს, ის გადარჩეული იქნება.

# ზაალ ანჯაფარიძე: „თუ „ოცნება“ ახალ სახეებს 2016 წლის მსგავსად მოიყვანს, ეს არაფრის მომცემი იქნება“

## „ღარიბაშვილის დაბრუნების შემდეგ „ნაცმოძრაობისადმი“ ხელისუფლების რიტორიკა უფრო ხისტი იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნება“ პარტიულ განახლებას იწყებს. ის მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალ სახეებს ეძებს. ამისთვის პარტია ამერიკული კომპანიის დაქირავებასაც აპირებს. იქამდე პარტიამ დააბრუნა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელმაც „ოცნების“ პოლიტიკური მდივნის თანამდებობა დაიკავა.

დაძლევს თუ არა ეს „ქართულ ოცნებაში“ არსებულ კრიზისს, ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებაც პარტიული განახლების კონტექსტში უნდა მივიღოთ და როგორი პოლიტიკა შეიძლება გაატაროს ქართულმა ოცნებამ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** საუბრობს:

***– „ქართული ოცნება“ გუნდის განახლებისთვის ახალ კადრებს ეძებს. როგორ ფიქრობთ, ეს იმ კრიზისს დაძლევს, რაც პარტიაშია შექმნილი?***



– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ახალ კადრებს მიიყვანენ. თუ ესენი იქნებიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი კომპეტენტური ადამიანები და საქმის კეთება ეცოდინებათ, რა თქმა უნდა, ეს „ქართული ოცნებისთვის“ შენაძენი იქნება. თუ ახალი სახეების მოყვანა იმ პრინციპით მოხდა, რაც 2016 წელს იყო, როცა ახალმა სახეებმა პარტიას ვერაფერი შემატეს, ეს იქნება ჩვეულებრივი და არაფრისმომცემი პროცესი. არა მგონია, ამით „ქართულ ოცნებას“ რამე შეემატოს.

მე მგონი, წინა გამოცდილებიდან მიიღო რაღაც გაკვეთილი და შეეცდება, რომ ამჯერად ღირებული კადრები შეარჩიოს.

***– ეს ახალი სახეები თუ საზოგადოებისთვის ცნობილი ფიგურები არ იქნებიან, პოზიტიურ გავლენას ვერ მოახდენენ?***

– ჩვენი საზოგადოება ყოველთვის პერსონებზეა ორიენტირებული. ამას სოციოლოგიური გამოკითხვებიც აჩვენებს, რომ ამომრჩეველს ნაკლებად აინტერესებს პარტიის იდეოლოგიური პლატფორმა, პროგრამები და ა. შ. მათთვის მთავარია, ვისით არის წარმოდგენილი ესა თუ ის პოლიტიკური პარტია.

აქედან გამომდინარე, ახალი სახეები რომ მოიყვანონ, რომლებიც საზოგადოებისთვის ნაკლებად არიან ცნობილები, ეს ვერაფერს შეცვლის. როგორც ეს თავის დროზე კვირიკაშვილმა გააკეთა, ამით ქართულმა ოცნებამ ბევრი ვერაფერი მოიგო. შეეცდებიან, რომ ისეთი სახეები მოიყვანონ, რომლებსაც საზოგადოება იცნობს. შეიძლება ისეთი სახეებიც მოიყვანონ, რომლებიც აქამდე პოლიტიკაში არ იყვნენ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ახალ სახეებში ისეთი ადამიანები იქნებიან, რომლებიც მეტ-ნაკლებად არიან საზოგადოების მეხსიერებაში დალექილი დადებითი პოლიტიკური თვალსაზრისით.

***– თუმცა, როცა პარტია აპირებს ამერიკული კომპანია დაიქირავოს, ამ კომპანიამ როგორ უნდა განსაზღვროს ეს?***

– ზუსტად ვერ გეტყვით, რისთვის ჰყავთ ეს ამერიკული კომპანია. მე მგონი, დაქირავებული ჰყავთ, რომ მან ერთგვარი სკრინინგი ჩაატაროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თორემ საბოლოო გადაწყვეტილებას, ვინ მიიღონ და ვინ არა პარტიაში, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა და ბიძინა ივანიშვილი მიიღებენ. ამერიკულ კომპანიას ალბათ უფრო ტექნიკური სამუშაოს ჩატარება მოუწევს. ეს არის ჩემი ვარაუდი, დეტალები არ ვიცი ამის შესახებ.

***– რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილის პარტიაში დაბრუნებას, ესეც პარტიული განახლების კონტექსტში უნდა აღვიქვათ?***

– პარტიული განახლების რა მოგახსენოთ. იმიტომ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არ არის ახალი კადრი, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს სჭირდება საკვანძო თანამდებობაზე ჰყავდეს მისთვის აბსოლუტურად სანდო კადრები. სავარაუდოდ, ღარიბაშვილის დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ.

***– აქამდე სანდო კადრები არ ჰყავდა?***

– თქვენ ნახეთ, რა პროცესი მიდის „ქართულ ოცნებაში“. შესაბამისად, აქედან გასვლა ყველას შეუძლია.

***– ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებებში პოლიტიკურად სწორი გზავნილები დაინახეთ?***

– ღარიბაშვილს ახალი და განსაკუთრებული არაფერი უთქვამს. ყველაზე უფრო ნიშანდობლივი იყო ის, რომ მისი არყოფნის პერიოდში ერთგვარად შესუსტდა ნაციონალურ მოძრაობაზე ზეწოლა, რამაც ამ პარტიას ძალების აღდგენის შესაძლებლობა მისცა. ამას გაუსვა ხაზი. ეს თქვა მაშინ, როცა საუბრობდა, რომ ჩემ დროს მათი რეიტინგი 6-7% იყო, ხოლო მე როცა წავედი, მდგომარეობა გააუმჯობესესო. ის ყოველთვის ცნობილი იყო ხისტი დამოკიდებულებით.



თუკი მან საზოგადოების რაღაც ნაწილში სიმპათია მოიპოვა, ძირითადად სწორედ ამ დამოკიდებულებით მოიპოვა. შესაბამისად, ის შეეცდება, რომ ეს კაპიტალი კიდევ უფრო გაზარდოს. უნდა ველოდოთ, რომ ნაცმოძრაობის მიმართ ხელისუფლების რიტორიკა კიდევ უფრო ხისტი გახდება. ის შემრიგებლური დამოკიდებულება, რაც კვირიკაშვილის მმართველობას ახასიათებდა, ეს აღარ იქნება.

***– ეს იქნება მხოლოდ ნაცმოძრაობის მიმართ თუ ფიქრობთ, რომ შესაძლოა „ქართული ოცნება“ რეპრესიული სვლით წავიდეს?***

– არა, რეპრესიული სვლით არა მგონია. ამის უფლებას მას დასავლეთი არ მისცემს. ისევე, როგორც ამის უფლება არ მისცა 2012 წელს, როდესაც „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა და გაცილებით პოპულარული იყო. მას ხალხის მხარდაჭერაც დიდი ჰქონდა და მაშინაც კი ვერ შეძლო ამის განხორციელება. იმიტომ, რომ დასავლეთმა ამის თაობაზე ძალიან მკაცრად მიუთითა. მით უმეტეს, ახლა არ არის დაინტერესებული იმით, რომ დასავლეთთან ამის გამო კიდევ ერთხელ გაიფუჭოს ურთიერთობა. უბრალოდ, ის პერიოდი, რაც ახასიათებდა კვირიკაშვილის დროს, როცა ურთიერთობები შედარებით დარბილდა, ის ჩაივლის და ისევ იმ პერიოდს დაუბრუნდება, როცა ორ პარტიას შორის ურთიერთობა უფრო ხისტი იყო და ასე იქნება ახლაც.

არ არის გამორიცხული, რომ ნაცმოძრაობის რამდენიმე მაღალჩინოსნის მიმართ საქმეც კი აღიძრას. ვნახოთ, როგორი პოლიტიკური კონიუნქტურა იქნება.

# ვანო მაჭავარიანი TBC-ის საქმეზე: „თვითონ ტრანზაქცია არის ძალიან მძიმე“



საქართველოს ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის განცხადებით, „ეს ტრანზაქცია არის თუ არა მომხდარი, ამაზე უნდა ვმსჯელობდეთ და რომ არის მომხდარი, ამაზე არავინ დავობს“.

ამის შესახებ მან ტვ „პირველზე“ „დღის ამბებში“ ჩართვისას TBC ბანკის საქმეში არსებული 2008 წლის 17 მლნ-იან ტრანზაქციაზე საუბრისას განაცხადა.

– რა კავშირი აქვს ბოლო პერიოდის მოვლენებს 11 წლის წინანდელ ტრანზაქციასთან, დღემდე ვერ მივხვდი. ტრანზაქციის შესახებ არის საკმაოდ ჩამოყალიბებული აზრი. არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტული წრეები, არავინ ეჭვქვეშ არ აყენებს, რომ ეს ტრანზაქცია არის როგორც მინიმუმ საეჭვო და როგორც მაქსიმუმ – დანაშაულებრივი. თვითონ ტრანზაქცია არის ძალიან მძიმე როგორც რეპუტაციულად, ასევე – სამართლებრივად. ეს ტრანზაქცია არის თუ არა მომხდარი, ამაზე უნდა ვმსჯელობდეთ და რომ არის მომხდარი, ამაზე არავინ არ დაობს. თუ რატომ და რა მიზეზებით მოხდა, ეს შეიძლება გასარკვევია, შეიძლება აქვს რაიმე ახსნა, თუმცა რაც არის ზედაპირზე არის ძალიან მძიმე. 10 წლის მერე ვინ ვინ ვის რა მიწერა, ვის რა უჩურჩულა, როგორ შეიძლება, რომ ამ ამბავმა შეცვალოს ტრანზაქცია, რომელიც შავით თეთრზეა განხორციელებული. მე მგონი, სებ-ი მოიქცა უმაღლესი სტანდარტით როგორც პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ასევე ეთიკურად, ამას ეჭვქვეშ არავინ არ აყენებს, – განაცხადა მინისტრმა.

**კომერსანტი**

# „შეერთებული შტატები „თიბისი ბანკის“ საქმის მსვლელობას ყურადღებით აკვირდება“



აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელიზაბეტ რუდი ამბობს, რომ შეერთებული შტატები „თიბისი ბანკის“ საქმის მსვლელობას ყურადღებით აკვირდება.

მაღალჩინოსანს მამუკა ხაზარაძისთვის გაგზავნილ წერილზეც ჰკითხეს, თუმცა მან კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა.

მისი თქმით, საქმე, რომელიც „თიბისის“ უკავშირდება გავლენას ახდენს ახდენს საქართველოში ბიზნესგარემოსა და ინვესტიციებზე.

– შეერთებული შტატები დიდი ხანია უჭერს მხარს საქართველოში თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის განვითარებას. წერილთან დაკავშირებით კი კომენტარს ვერ გავაკეთებ. მესმის, რომ ის საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოძიების საგანს წარმოადგენს. რაც შეეხება „თიბისი“ ბანკს, ჩვენ ვაგრძელებთ საქმეზე ყურადღებით დაკვირვებას და მიგვაჩნია, რომ მისი განხილვის გზები და შედეგები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესგარემოსა და ინვესტიციებზე, – განაცხადა ელიზაბეტ რუდიმ.

„თიბისი“ ბანკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს თვალს ადევნებს ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში. კრისტიან ურსე ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭო მსგავს საქმეებს არ განიხილავს, ის თვალს ადევნებს საქმეს.

– ყველა ეცნობა მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, მათ შორის ჩვენც, მაგრამ ევროსაბჭო ასეთ საქმეებს არ განიხილავს. რა თქმა უნდა, ყურადღებით ვაკვირდებით. რამდენადაც ვიცი, გამოძიება დაიწყო და დაველოდებით მის შედეგებს, – განაცხადა კრისტიან ურსემ.

# დავით ონოფრიშვილი: „მე, როგორც რეგულატორს, არ მინდა, ბაზარზე ორი-სამი კომპანია დომინირებდეს“

სადაზღვევო ბაზრის განვითარების პერსპექტივების შესახებ ისაუბრეს რადიო „კომერსანტზე“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“. გადაცემის სტუმრის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, დავით ონოფრიშვილის თქმით, სადაზღვევო ბიზნესი ვითარდება. მან მსმენელს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მუშაობის სპეციფიკა გააცნო.

– ეკონომიკის პოლიტიკისა და რეფორმების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ 1997 წელს დავინიშნე. 1995 წლიდან რეალურად დაიწყეს პირველი კანონმდებლობის მიღება. პრაქტიკულად კანონები არ არსებობდა და მე მხვდა წილად, არაერთ კანონზე მემუშავა. მათ შორის დაზღვევის მიმართულებით და 1 წელი სწორედ ამ კანონზე ვმუშაობდი. მოწვეული გვყავდა ექსპერტები სხვადასხვა ფონდიდან, მათ შორის, ერთი ბრიტანელი ექსპერტი გვეწვია. ამ პერიოდის შემდეგაც, არაერთხელ მომიწია ამ მიმართულებით მუშაობა. უშუალოდ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური არის დაზღვევის სფეროს რეგულატორი, მან 10 წელი იარსება, იმ პერიოდისთვის ნორმალურად ფუნქციონირებდა. თუმცა ნაციონალური მოძრაობის დროს ეს სამსახური გააუქმეს და ეროვნულ ბანკს მიუერთეს. მსოფლიოში არის ასეთი პრაქტიკა, ფინანსური სფეროა და ერთიანი რეგულატორი შეიქმნა.

2012 წელს კი, როცა კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მე გავხდი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური ეროვნული ბანკიდან კვლავ გამოვაცალკევეთ და 2013 წელს უკვე შეიქმნა, როგორც დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ბოლო წლებში დაზღვევის მიმართულება არ არის განვითარებული ისე, როგორც ჩვენ გვინდა, თუმც, დადებითი ტენდენციები შეინიშნება. მაგალითად, გაორმაგებულია მოგება, შემოსულია ახალი ტექნოლოგიები, სადაზღვევო კომპანიები კომფორტულად გრძნობენ თავს და აქეთ ითხოვენ, რომ რეგულატორი იყოს ძლიერი. სადაზღვევო კომპანიებს ასევე აქვთ საკუთარი ასოციაცია, სადაც 17-მდე კომპანიაა გაერთიანებული და სხვა ნაწილმა მეორე, ალტერნატიული ასოციაცია შექმნა.



დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, კანონის მიხედვით, არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თავის საქმიანობაში ის აბსოლუტურად დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე. ჩვენ მოვალეობაში შედის დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც მთავრობის მეშვეობით უნდა იყოს პარლამენტში გატანილი, ასევე სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობა და ორგანიზაციების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია ასევე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, საუბარია, ბანკების მიერ შექმნილ სადაზღვევო კომპანიებზე, რომლებიც სხვა კომპანიებისთვის დიდ დისკომფორტს წარმოადგენს. მათ აქვთ შიში, რომ ეს კომპანიები მოიცავენ ბაზრის დიდ წილს და ჩვენი როლი სწორედ ამის დარეგულირებაა.

ჩვენ, როგორც ასოციაციას, ისე ცალ-ცალკე კომპანიების წარმომადგენლებს შევხვდით, მათ აქვთ სურვილი, რომ კანონმდებლობაში გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც ბანკების სადაზღვევო კომპანიებს ბაზრის წილის 10-20%-ზე მეტი მომხმარებლის მიღების უფლებას არ მისცემს. ეს ზღუდავს ბანკებს, ჩვენ არც ეს გვინდა და არც უკმაყოფილო სადაზღვევო კომპანიები, რთულია ამის დაბალანსება, თუმცა, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და აუცილებლად შევთანხმდებით საერთო კრიტერიუმებზე. მე, როგორც რეგულატორს, არ მინდა, ბაზარზე ორი-სამი კომპანია დომინირებდეს.

ჩვენი სამსახურის უფლება-მოვალეობაში შედის ასევე დაზღვევის საქმიანობის ლიცენზიის გაცემა და გაუქმება. ვითხოვთ ფინანსურ ანგარიშგებას ყოველთვიურად, კვარტალურად და წლიურად, ვიყენებთ სანქციებსაც, ჯერ გაფრთხილებაა, შემდგომ სანქციები – 500 ლარიდან 10 ათას ლარამდეც კი აღწევს.

რაც შეეხება, კომპანიების კაპიტალს, 2021 წლისთვის ვფიქრობთ, რომ თითოეულ კომპანიაში უნდა იყოს 7 მილიონის ფარგლებში. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ძლიერი კომპანიები გვყავს, თუმცა არ გამოვრიცხავ მომავალში შერწყმის შემთხვევებსაც. დაიწყება დიდი კომპანიების მხრიდან პატარა კომპანიების შესყიდვები, ბაზარზე ახალი კომპანიებიც შემოდის, ეს ჯანმრთელი პროცესია, ამიტომ მგონია, რომ ბაზარი კონკურენტუნარიანი იქნება და მას რაიმე საფრთხე არ ემუქრება, – ამბობს დავით ონოფრიშვილი.

**კომერსანტი**

# 16 წლის მოზარდმა თანატოლები ცივი იარაღით დაჭრა

თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩაზე 2 მარტს მოზარდებს შორის ინციდენტი მოხდა. ბრალდებული მოზარდი დაკავებულია. მას ბრალი დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით ედება.

მან დაკავებისას ბრალი აღიარა.

დაჭრილი სამი არასრულწლოვანიდან საავადმყოფოში მხოლოდ ერთი რჩება. მას ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული, მოზარდის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.




შემთხვევა 2 მარტს მოხდა. დაზარალებულები 2001 წელს არიან დაბადებული. დაჭრილებიდან ერთ-ერთი მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლეა. სკოლის დირექტორი სხვა დაჭრილების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

– ნიკუშა არის ბარძაყში დაჭრილი, ეს არის ჩვენი სკოლის, მე-11 კლასის მოსწავლე. დანარჩენი ორი მოსწავლე, რომელიც, სამწუხაროდ, დაჭრილია, არ არის ჩვენი სკოლის მოსწავლე, – ამბობს მე-10 სკოლის დირექტორი ბელა ხუბუტია.

გამოძიება ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების და ძალადობის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 120-ე და 126-ე მუხლებით მიმდინარეობს.

უცნობია რა იყო არასრულწლოვნებს შორის მომხდარი დაპირისპირების მიზეზი. შს სამინისტროში მომხდარის მოტივზე არ საუბრობენ. სამართალდამცველებმა ცივი იარაღი, რომლის გამოყენებითაც მოზარდმა დანაშაული ჩაიდინა, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

# „მირტყეს მოტეხილ ხელში... მეუბნებოდნენ, ვიდეოებს გიღებთ, როგორ დაგსვამთ ბოთლზეო“

15 წლის ბიჭი „კურიერთან“ დეტალურად იხსენებს, როგორ ემუქრებოდნენ ბოლნისის პოლიციის მაღალჩინოსნები გაუპატიურებით და როგორ გაუსწორდნენ მას ფიზიკურად პოლიციის შენობაში, რის შედეგადაც მას ხელი მოსტყდა და სასწრაფო ოპერაციის ჩატარება დასჭირდა.

მოზარდი აღიარებს, რომ ოქროს ნივთები მოიპარა და ფაქტზე დააკავეს, რის შემდეგადაც სასტიკად გაუსწორდნენ.

მისი თქმით, 8 საათის განმავლობაში ფიზიკურად ბოლნისის პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე უსწორდებოდნენ.

– მეუბნებოდნენ, ვიდეოებს გიღებთო, როგორ დაგსვამთ ბოთლზე და შენს ძმაკაცებს ვანახებთო, მირტყამდნენ, – აცხადებს დაშავებული, რომელიც ირწმუნება, რომ ქამრით ცემას პოლიციელები მას შემდეგაც განაგრძობდნენ, რაც ხელი მოსტყდა.

– წიხლი ჩამარტყეს, მირტყეს მოტეხილ ხელში. ამიყვანეს პოლიციაში, მცემეს. მეუბნებოდნენ, ვიდეოებს გიღებთო, როგორ დაგსვამთ ბოთლში და შენს ძმაკაცებს ვანახებთო. მირტყამდნენ, ქამარს, გასაღებს, ბოთლს. არ ავდექი, დავეჭიდე სკამს. მეორე კაცი ვინ იყოო, მოტეხილ ხელზე მირტყამდნენ“, – განაცხადა მოზარდმა.

მისი თქმით, მშობლებს პოლიციელები აშინებდნენ, რათა გენერალური ინსპექციისთვის არ მიემართათ.

– მამაჩემს დალევა უყვარს და ასმევდნენ, ეუბნებოდნენ, მეორე შვილსაც დავიჭერთ, შენც დაგიჭერთო, – აცხადებს ის.

„რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ზეწოლა, სავარაუდოდ, მერეც გაგრძელდა და ოჯახს პოლიციამ შუამავლები მიუგზავნა, „კურიერის“ გადამღები ჯგუფის ყოფნის დროს ადგილზე გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები მივიდნენ.

# „ბიჭი მთელი ღამე მანქანაში, საბარგულში ჰყოლიათ გამოკეტილი, გოგო — სალონში“

## გლდანში საქართველოს ბანკს თავს დაესხნენ

გუშინ, 8 მარტს, გლდანში ნამდვილი დეტექტიური ტრილერი გათამაშდა.

10:30 წუთზე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში 3 ნიღბიანი პირი შევიდა, მაგრამ მათ ტერიტორიის დატოვება 2 წუთში მოუხდათ, რადგან ადგილზე დაცვის პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ.

ნიღბიანები ბანკიდან გამოვიდნენ და დაცვის პოლიციის მისამართით ცეცხლი გახსნეს. პოლიციამ საპასუხო ცეცხლით უპასუხა,

სროლის შედეგად დაზიანდა დაცვის პოლიციის ავტომობილი. ნატყვიარები ეტყობა რამდენიმე მაღაზიასაც.

დამნაშავეებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა შეძლეს.

თვითმხილველების ინფორმაციით, სამმა ნიღბიანმა ტერიტორია ორმხრივი სროლისას მას შემდეგ დატოვა, რაც მათ გოგონა მანქანაში ჩაისვეს.

– ამბობენ, სამნი იყვნენო, არაფერი ვიცი. ისიც თქვეს, რომ ერთი თან წაიყვანეს და ერთი გაუშვესო, – ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ თავდამსხმელებმა ბანკში შეჭრამდე რამდენიმე საათით ადრე „სუბარუს“ მარკის ავტომობილი, 2 ადამიანთან ერთად გაიტაცეს.

– ახალგაზრდა გოგო მანქანით თავის შეყვარებულთან ერთად იყო, როცა მათზე თავდასხმა განხორციელდა და ისინი მანქანიანად გაიტაცეს. რამდენიმე საათის განმავლობაში ხელ-ფეხ შეკრული ჰყავდათ, ბანკზე თავდასხმის შემდეგ კი, ბანკის ტერიტორიაზე მანქანიდან ჩამოაგდეს, თავად ჩასხდნენ იმავე მანქანაში და გაიქცნენ, – უყვება „ინტერპრესნიუსს“ ინფორმირებული წყარო.

გატაცებული მამაკაცის ახლობლების ინფორმაციით, თავდამსხმელებს გატაცებულები მთელი ღამე ტყეში ჰყავდათ.

– მთელი ღამე ტყეში ყოფილან.




ბიჭსაც და გოგოსაც ხელ-ფეხი შეკრული ჰქონიათ. ბიჭი მთელი ღამე მანქანაში, საბარგულში ჰყოლიათ გამოკეტილი, გოგო – სალონში. გოგოს უკითხავს, რისთვის გჭირდებითო და გამტაცებლებს უთქვამთ „ხვალ ნახავთო“, – განაცხადეს ახლობლებმა.

მამაკაცის დედა ჟურნალისტებთან საუბრისას ადასტურებს, რომ მისი ვაჟი წუხელ შინ არ იმყოფებოდა.

მისი თქმით, შვილი ბოლოს საღამოს ნახა, შემდეგ ის დასთან წავიდა, თუმცა დანიშნულების ადგილამდე ვერ მივიდა.

როგორც გატაცებულის დედა აცხადებს, 8 მარტს 10:50 საათზე, სამართალდამცველები დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ მისი შვილი პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა.

ბანკზე თავდასხმის წინ ბოროტმოქმედებმა მამაკაცი გლდანის მეოთხე მიკრორაიონში ჩამოსვეს. ბანკის შენობასთან კი მეორე მძევალთან, ახალგაზრდა ქალთან ერთად მივიდნენ.

სწორედ მისი გამოყენებით დატოვეს ბანკის მიმდებარე ტერიტორიაც, მერე კი მძევლად აყვანილი გოგონა ქერჩის ქუჩაზე დატოვეს.

მოგვიანებით შსს-მ ასეთი განცხადება გაავრცელა:

„თბილისში, გლდანში მე-6 მ/რ-ში „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს ფილიალზე დღეს მომხდარი თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა. ამ ეტაპზე არ დასტურდება ბანკიდან ფულის გატაცების ფაქტი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე (ყაჩაღობა), 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა) 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) მუხლებით დაიწყო.

შემთხვევის ადგილზე მუშაობენ პოლიციის შესაბამისი დანაყოფები, ექსპერტ-კრიმინალისტები, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები“.

# „დედა გონებას კარგავს და ასულიერებენ“ — რატომ მოკლა გივი ბასილაშვილი მისმა ძმამ



6 მარტს, დაბა ბაკურიანში ტრაგედია დატრიალდა. 30 წლის გივი ბასილაშვილი საკუთარმა ძმამ, 20 წლის ივანე (ვანო) ბასილაშვილმა თავის დაბადების დღეზე დანით სასიკვდილოდ დაჭრა.

მკვლელობის დეტალებზე საუბარი ახლობლებს უჭირთ, მომხდარით ყველა შეძრულია.

ამბობენ, რომ ძმებს შორის დაპირისპირება და კონფლიქტი ადრე არ ყოფილა. შინაგან საქმეთა სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ძმებს შორის ოჯახური კონფლიქტი მოხდა და მათი შელაპარაკება მკვლელობით დასრულდა.

ივანე ბასილაშვილი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც შევიტყვეთ, იმ საბედისწერო დღეს ძმები სახლში მარტო იყვნენ. დანაშაული საღამოს, 7 საათზე მოხდა.

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ დედას კი უმძიმესი სურათი დახვდა.

– იმ დროს ძმები სახლში მარტო იყვნენ, დედამისი სამუშაოზე ყოფილა წასული, დამლაგებლად მუშაობს და სამსახურიდან გამოსულს მაღაზიაში შეუვლია, ვაშლი უყიდია. ამ დროს მეზობლებმა დაურეკეს და უთხრეს, სახლში სასწრაფოდ მოსულიყო. რომ მოვიდა, საშინელი ამბავი დახვდა, ქალი განადგურებულია, საუბარი უჭირს, გონებას კარგავს და ასულიერებენ. ამბობს, ეზოში რომ შევედი გივი ძირს ეგდო დაჭრილი, მეორე შვილი სახლში იყო, ტიროდა და ბღაოდა, ეს რა ჩავიდინეო.

სასწრაფოც მოვიდა და დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ სამწუხაროდ, იქ მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა. ამბობენ, დანით რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული. ძმა სახლიდან არ გაქცეულა, პოლიციას თავად ჩაბარდა და ბაკურიანის პოლიციაში ჩაიყვანეს. მერე მისი ტანსაცმლის წამოსაღებად პოლიციელი სახლში რომ ამოვიდა, იძახდა, ძალიან ნანობს ჩადენილ დანაშაულსო.

ბიჭების დედა ამბობს, გივის დაბადების დღე არ აღუნიშნავსო, მარტო იყვნენ ძმები სახლში და რა მოხდა, არავინ იცის. მეზობლებიც გაოგნებულები ვართ. ორივე ძალიან კარგი ბიჭია, არ იყვნენ კონფლიქტურები. ვანო 20 წლის არის, კარგი ახალგაზრდა და ეს როგორ მოუვიდა, ვერ აგვიხსნია. დედას ძლივს აბრუნებენ, ისეთ დღეშია. ჩემი თვალით ვნახე სისხლიანი დანა, იქვე ეგდო.

ნასვამები იყვნენ თუ არა, ამასაც ვერ გეტყვით, არ ვიცით. ბიჭებს მამა არ ჰყავთ. გივი დაოჯახებული იყო, მეუღლე და ერთი შვილი დარჩა, ტრაგედიის დროს მისი ცოლშვილი სახლში არ იყო. ცოლს ნათესავი ყოლია გარდაცვლილი და ორჯონიკიძეში იყო წასული შვილთან ერთად. ორივე ძმას ყველა დადებითად ახასიათებს. ვანო ბავშვებს ბაკურიანში თხილამურებით სრიალს ასწავლიდა. სამწუხაროა რაც მოხდა, – ამბობს ჩვენთან საუბარში ბაკურიანის მცხოვრები.

ორივე ძმას დადებითად ახასიათებს მერიის წარმომადგენელი დაბა ბაკურიანში გოჩა გობრონიძე:

– რა მოხდა, არ ვიცით. ალბათ ნასვამები იყვნენ. სხვა დროს არავითარი დაძაბულობა და პრობლემები ერთმანეთთან არ ჰქონიათ. ეტყობა რაღაც გაურკვევლობა წარმოიქმნა და ჩხუბის ნიადაგზე მოხდა ის, რაც მოხდა. გამოძიება მიმდინარეობს და ალბათ, გაირკვევა ყველაფერი. ბიჭებს მამა არ ჰყავთ, მშრომელი დედა ჰყავთ. ძალიან ვწუხვართ და ვუთანაგრძნობთ ოჯახს ამ ტრაგედიას.

მომხდარზე გამოძიება გრძელდება.

კვირის პალიტრა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# აშშ-ის კონგრესმა რასიზმისა და ქსენოფობიის გამოვლენა დაგმო



აშშ-ის კონგრესმა ანტისემიტიზმის, რასიზმისა და ქსენოფობიის ნებისმიერი გამოვლენა დაგმო. ამას მხარი დაუჭირეს როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული პარტიის წევრებმა.

კონგრესმენი დემოკრატები აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტ ტრამპის უკანასკნელმა გამოთქმებმა ემიგრანტების შესახებ, აგრეთვე მექსიკასთან კედლის აშენების მცდელობებმა რასიზმის პრობლემა კვლავ მწვავედ დააყენა.

— რასიზმი, ქსენოფობია თუ ანტისემიტიზმი ამერიკული ფასეულობებისთვის მიუღებელია, — ამბობდნენ ორატორები.

# მანაფორტს 4 წელი მიესაჯა



ტრამპის ადმინისტრაციის ყოფილ თავკაც პოლ მანაფორტს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მანაფორტს დაუმტკიცდა ფინანსური მაქინაციები, გადასახადებისათვის თავის არიდება, აგრეთვე უკრაინაში საეჭვო ფინანსური ოპერაციები, რამაც იქაური

პრორუსული ლობის გაძლიერება გამოიწვია.

# აშშ-მ უზბეკეთის პრეზიდენტის ქალიშვილს ბრალი წაუყენა

მანჰეტენის პროკურორმა ჯეფრო ბერმანმა უზბეკეთის პირველი პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვის ქალიშვილს გულნარას კორუფცია დასდო ბრალად.

საუბარია გულნარას მონაწილეობაზე კორუფციულ სქემებში, აგრეთვე მისი უზბეკეთის მთავრობაში ყოფნისას ფულის გათეთრების ფაქტებზე.



უზბეკეთში გულნარა ქარიმოვას თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და კორუფციის გამო 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. მხედველობაში იქნა მიღებული ის, რომ ქარიმოვა პირველი პრეზიდენტის ქალიშვილია და ამიტომ მას უფლება მისცეს, სასჯელი თავისი ქალიშვილის ბინაზე მოეხადა. ქარიმოვა რეჟიმს სისტემატურად არღვევდა და ამიტომ საერთო რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს.

# რუსეთში ამერიკის მოქალაქეები დააკავეს

რუსეთში აშშ-ის ორი მოქალაქე, ჰააგი და ბროდოვსკი დააკავეს. ორივე მათგანი მორმონების სექტას განეკუთვნებოდა.

პროგრამა, რომლის მიხედვითაც ჰააგისა და ბროდოვსკის მოღვაწეობის დაფინანსება ხდებოდა, უკვე მეორე წელია, მოქმედებდა. რუსულმა სასამართლომ ორივე მორმონი დამნაშავედ ცნო იმაში, რომ მათ რუსეთში ჩასვლის დადგენილი წესი დაარღვიეს, ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას და ა.შ.

მათ ქვეყნიდან გაძევება და 20.000 რუბლი ჯარიმა მიუსაჯეს.



Courtesy Photo

# ევროკავშირმა ვენესუელას პროტესტი გამოუცხადა

ევროკავშირმა ვენესუელიდან გერმანიის ელჩ კერმერის გაძევების გამო პროტესტი გამოთქვა. ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ აღნიშნა, რომ ასეთი ქმედებები ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავს.

— იმედი მაქვს, რომ ვენესუელა თავის გადაწყვეტილებას შეცვლის, — ამბობს მოგერინი.



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაასმა, თავის მხრივ, მიუთითა, რომ მადუროს რეჟიმის მოქმედება გერმანიის კურსზე არ იმოქმედებს.

— ჩვენ მხარს ვუჭერთ დემოკრატიულ ოპოზიციასა და ვენესუელის დროებით პრეზიდენტ გუაიდოს, — ამბობს ჰაასი.

# რიგის მახლობლად ნატოს შტაბ-ბინა გაიხსნა



ლატვიის დედაქალაქის მახლობლად ნატოს შტაბ-ბინა გაიხსნა. მისი ამოცანა ბალტიისპირეთში ნატოს ჯარების კოორდინაციაა.

რუსეთის აგრესიული პოლიტიკა, ომი დონბასში, ყირიმის ანექსია სულ უფრო ზრდის იმის საშიშროებას, რომ მოსკოვი ბალტიისპირეთის ანექსიასაც შეეცდება.

ნატოც რუსეთის შეტევის მოსაგერიებლად ემზადება.

# პუტინის რეიტინგი ვარდნას განაგრძობს



ვლადიმერ პუტინის რეიტინგი ვარდნას განაგრძობს. ის 27%-მდე დაეცა.

თებერვლის შუა რიცხვებში რეიტინგი იყო 32%, შარშან ამ დროს კი — 61%.

რეიტინგის ვარდნა ვერც პუტინის მიერ დეპუტატებისადმი პოზიტიურმა მიმართვამ შეაჩერა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შექმნილ მდგომარეობაში პუტინმა, შესაძლოა, სამხედრო ავანტიურები განახორციელოს. სამიზნე ამ მხრივ საქართველო და უკრაინაა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მასწავლებელმა საბუთში წვრილი შრიფტი წაიკითხა და 10 ათასი დოლარი მიიღო

ამერიკის ჯორჯიის შტატის მკვიდრმა მასწავლებელმა 10 ათასი დოლარი მას შემდეგ მიიღო, რაც ყურადღებით წაიკითხა დაზღვევის გაფორმების დროს საბუთში არსებული წვრილი შრიფტი. სადაზღვევო კომპანია Squaremouth-მა, რომლის შტაბ-ბინა ფლორიდის შტატის ქალაქ სენტ-პიტერსბერგში მდებარეობს, ფარული კონკურსი მოაწყო, რომლის პირობებიც წვრილი შრიფტით იმ საბუთებში განათავსა, რომლებსაც სხვა ქვეყნებში გამგზავრებისას დაზღვევის გასაფორმებლად იძენენ.




პირველმა ეს დეტალი 59 წლის საშუალო სკოლის მასწავლებელმა დონელან ენდრიუსმა შენიშნა. 400-დოლარიანი დაზღვევის შეძენისას მან გადაწყვიტა, ყურადღებით გასცნობოდა იურიდიულ საბუთებს, რომლებიც განზრახ იყო შედგენილი რთული ენით სპეციფიკური ტერმინების გამოყენებით. ფარული გზავნილი მეშვიდე გვერდზე აღმოჩნდა. გამარჯვებული კონკურსის დაწყებიდან 23 საათში გამოვლინდა. ენდრიუსი ირწმუნება, რომ ის ასეთ საბუთებს ყოველთვის გულდასმით ეცნობა. ქალი აპირებს, საპრიზო თანხა ქორწინების 35 წლის აღსანიშნავად შოტლანდიაში მოგზაურობაში დახარჯოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● მკურნალობამამაკაცებისათვის:პროსტატიტი,ადენომა,ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# არსენალი და მანჩესტერი ისევ კონკურენტები არიან

## სტატისტიკა, ფსონები

იყო დრო, როდესაც არსენალი და მანჩესტერი ერთმანეთს მტრობდნენ და პირველი ადგილისთვის იბრძოდნენ. ეს ფერგიუსონ-ვენგერის მოღვაწეობის პერიოდში. შემდეგ ცოტა ჩაწყნარდნენ. აი, წელს კი ისევ ერთმანეთის კონკურენტები არიან ევროსაგზურისთვის ბრძოლაში.

ჩაუჯექით...




### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.03 | კრ.პალასი-ბრაიტონი | 1.83 | 3.4 | 4.75 |
| 09.03 | ჰადერსფილდი-ბორნმუთი | 3.4 | 3.2 | 2.25 |
| 09.03 | კარდიფი-ვესტ ჰემი | 3.4 | 3.3 | 2.2 |
| 09.03 | ნიუკასლი-ევერტონი | 2.8 | 3.1 | 2.7 |
| 09.03 | ლესტერი-ფულემი | 1.57 | 4.33 | 5.5 |
| 09.03 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 4.2 | 3.6 | 1.88 |
| 09.03 | სიტი-უოტფორდი | 1.14 | 8.0 | 19.0 |
| 10.03 | ლივერპული-ბარნლი | 1.15 | 7.5 | 19.0 |
| 10.03 | ჩელსი-ვულვზი | 1.52 | 4.0 | 7.0 |
| 10.03 | არსენალი-მანჩესტერი | 2.25 | 3.5 | 3.1 |

**კრ.პალასი-ბრაიტონი**

კრ.პალასი: **ტრავმა**-მამადუ სახო, პაპე სუარე

ბრაიტონი: **ტრავმა**-ლეონ ბალოგუნი

**ჰადერსფილდი-ბორნმუთი**

ჰადერსფილდი: **ტრავმა**-ადამა დიახაბი, ტომი სმიტი, ისააკ მბენზა, დანიელ უილიამსი

ბორნმუთი: **ტრავმა**-ჯეფერსონ ლერმა, ჯუნიორ სტანისლასი, სიმონ ფრენსისი, სტივ კოკი

**კარდიფი-ვესტ ჰემი**

კარდიფი: **ტრავმა**-არავინ

ვესტ ჰემი: **ტრავმა**-ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი, ჯეკ უილშირი

**ნიუკასლი-ევერტონი**

ნიუკასლი: **ტრავმა**-კირონ კლარკი

ევერტონი: **ტრავმა**-ლეიტონ ბაინესი

**ლესტერი-ფულემი**

ლესტერი: **ტრავმა**-მარკ ალბრაიტონი, დანიელ ამარტეი

ფულემი: **ტრავმა**-ალფი მაუსონი

**საუთჰემპტონი-ტოტენჰემი**

საუთჰემპტონი: **ტრავმა**-დანი ინგსი, მარიო ლემინა, მაიკლ ობაფემი

ტოტენჰემი: **ტრავმა**-ერიკ დიერი, დალე ალი

**სიტი-უოტფორდი**

სიტი: **ტრავმა**-აიმერიკ ლაპორტე, ფერნანდინიო

უოტფორდი: **ტრავმა**-არავინ

**ლივერპული-ბარნლი**

ლივერპული: **ტრავმა**-დეიან ლოვრენი, ჯო გომესი

ბარნლი: **ტრავმა**-სტივ დეფო, აარონ ლენონი

**ჩელსი-ვულვზი**

ჩელსი: **ტრავმა**-დანი დრინკვოთერი

ვულვზი: **ტრავმა**-

**არსენალი-მანჩესტერი**

არსენალი: **ტრავმა**-ექტორ ბელერინი, რობ ჰოლდინგი, დანი უელბეკი

მანჩესტერი: **ტრავმა**-ხუან მატა, ანდერ ერერა, ნემანია მატიჩი, ჯესი ლინგარდი, ანტონიო ვალენსია, მატეო დარმიანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 29 | 23 | 2 | 4 | 76-20 | 71 |
| 2.ლივერპული | 29 | 21 | 7 | 1 | 64-15 | 70 |
| 3.ტოტენჰემი | 29 | 20 | 1 | 8 | 56-30 | 61 |
| 4.მანჩესტერი | 29 | 17 | 7 | 5 | 58-38 | 58 |
| 5.არსენალი | 29 | 17 | 6 | 6 | 61-39 | 57 |
| 6.ჩელსი | 28 | 17 | 5 | 6 | 49-30 | 56 |
| 7.ვულვზი | 29 | 12 | 7 | 10 | 37-35 | 43 |
| 8.უოტფორდი | 29 | 12 | 7 | 10 | 41-41 | 43 |
| 9.ვესტ ჰემი | 29 | 11 | 6 | 12 | 37-41 | 39 |
| 10.ევერტონი | 29 | 10 | 7 | 12 | 39-39 | 37 |
| 11.ლესტერი | 29 | 10 | 5 | 14 | 35-41 | 35 |
| 12.ბორნმუთი | 29 | 10 | 4 | 15 | 39-54 | 34 |
| 13.კრ.პალასი | 29 | 9 | 6 | 14 | 35-39 | 33 |
| 14.ნიუკასლი | 29 | 8 | 7 | 14 | 26-36 | 31 |
| 15.ბრაიტონი | 28 | 8 | 6 | 14 | 30-41 | 30 |
| 16.ბარნლი | 29 | 8 | 6 | 15 | 32-53 | 30 |
| 17.საუთჰემპტონი | 29 | 6 | 9 | 14 | 32-49 | 27 |
| 18.კარდიფი | 29 | 7 | 4 | 18 | 25-57 | 25 |
| 19.ფულემი | 29 | 4 | 5 | 20 | 27-65 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 29 | 3 | 5 | 21 | 15-51 | 14 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.03 | ალავესი-ეიბარი | 2.8 | 3.2 | 2.62 |
| 09.03 | ატლეტიკო-ლეგანესი | 1.47 | 3.9 | 8.5 |
| 09.03 | ბარსელონა-რაიო | 1.14 | 8.0 | 19.0 |
| 09.03 | ხეტაფე-უესკა | 1.6 | 3.8 | 6.0 |
| 10.03 | სელტა-ბეტისი | 2.4 | 3.3 | 3.0 |
| 10.03 | ხირონა-ვალენსია | 3.0 | 3.3 | 2.4 |
| 10.03 | სევილია-სოსიედადი | 1.63 | 4.2 | 5.0 |
| 10.03 | ლევანტე-ვილიარეალი | 2.8 | 3.4 | 2.5 |
| 10.03 | ვალიადოლიდი-რეალი | 5.25 | 4.2 | 1.61 |

**ალავესი-ეიბარი**

ალავესი: **ტრავმა**-ხიმო ნავარო, მარტინ აგუირეგაბირია

ეიბარი: **ტრავმა**-არავინ

**ატლეტიკო-ლეგანესი**

ატლეტიკო: **ტრავმა**-ლუკას ერნანდესი

ლეგანესი: **ტრავმა**-იუსუფ ენ-ნესირი

**ბარსელონა-რაიო**

ბარსელონა: **ტრავმა**-ტომას ვერმალენი, რაფინია

რაიო: **ტრავმა**-გორკა ელუსტონდო

**ხეტაფე-უესკა**

ხეტაფე: **ტრავმა**-ვიტორინო ანტუნესი, ამატ ნდიაე, მარკელ ბერგარა

უესკა: **ტრავმა**-კრისტიან რივერა, გუჩო ერნანდესი, კარლოს აკაპო, პაბლო ინსუა, გონსალო მელერო, ლუიზინიო

**სელტა-ბეტისი**

სელტა: **ტრავმა**-კევინ ვასკესი, იაგო ასპასი

ბეტისი: **ტრავმა**-ჯუნიორ ფირპო

**ხირონა-ვალენსია**

ხირონა: **ტრავმა**-ხუანპე, კარლეს პლანასი, ადაი ბენიტესი

ვალენსია: **ტრავმა**-ეზეკიელ გარაი

**სევილია-სოსიედადი**

სევილია: **ტრავმა**-დანიელ კარიკო, სერხიო ესკუდერო, იორის გნანონი, ნოლიტო, მაქსიმ გონალოსი

სოსიედადი: **ტრავმა**-კევინ როდრიგესი, ასიერ ილიარამენდი, ანდონი გოროსაბელი

**ლევანტე-ვილიარეალი**

ლევანტე: **ტრავმა**-რუბენ როჩინა, ჩეიკ დაკური

ვილიარეალი: **ტრავმა**-სანტიაგო კასერესი

**ვალიადოლიდი-რეალი**

ვალიადოლიდი: **ტრავმა**-ფერნანდო კალერო, ტონი ვილა

რეალი: **ტრავმა**-ნაჩო, მარკოს ლიორენტე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 18 | 6 | 2 | 66-25 | 60 |
| 2.ატლეტიკო | 26 | 15 | 8 | 3 | 38-17 | 53 |
| 3.რეალი | 26 | 15 | 3 | 8 | 43-31 | 48 |
| 4.ხეტაფე | 26 | 11 | 9 | 6 | 34-23 | 42 |
| 5.ალავესი | 26 | 11 | 7 | 8 | 27-29 | 40 |
| 6.სევილია | 26 | 10 | 7 | 9 | 41-34 | 37 |
| 7.ვალენსია | 26 | 7 | 15 | 4 | 27-21 | 36 |
| 8.ბეტისი | 26 | 10 | 6 | 10 | 30-32 | 36 |
| 9.სოსიედადი | 26 | 9 | 8 | 9 | 30-27 | 35 |
| 10.ეიბარი | 26 | 8 | 10 | 8 | 34-35 | 34 |
| 11.ლეგანესი | 26 | 8 | 9 | 9 | 27-31 | 33 |
| 12.ესპანიოლი | 26 | 9 | 6 | 11 | 31-39 | 33 |
| 13.ბილბაო | 26 | 7 | 12 | 7 | 25-30 | 33 |
| 14.ხირონა | 26 | 7 | 10 | 9 | 27-34 | 31 |
| 15.ლევანტე | 26 | 8 | 6 | 12 | 37-46 | 30 |
| 16.ვალიადოლიდი | 26 | 6 | 8 | 12 | 20-34 | 26 |
| 17.სელტა | 26 | 6 | 7 | 13 | 36-44 | 25 |
| 18.ვილიარეალი | 26 | 4 | 11 | 11 | 27-35 | 23 |
| 19.რაიო | 26 | 6 | 5 | 15 | 28-45 | 23 |
| 20.უესკა | 26 | 5 | 7 | 14 | 26-42 | 22 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.03 | ლაიპციგი-აუგსბურგი | 1.36 | 5.0 | 8.5 |
| 09.03 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2.62 | 3.2 | 2.8 |
| 09.03 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.22 | 6.5 | 13.0 |
| 09.03 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.32 | 5.5 | 9.0 |
| 09.03 | მაინცი-გლადბახი | 3.2 | 3.4 | 2.25 |
| 10.03 | ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი | 1.25 | 6.0 | 12.0 |
| 10.03 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 8.0 | 5.25 | 1.36 |
| 11.03 | ფორტუნა-აინტრახტი | 2.8 | 3.4 | 2.5 |

**ლაიპციგი-აუგსბურგი**

ლაიპციგი: **ტრავმა**-დაიო უპამეკანო

აუგსბურგი: **ტრავმა**-ალფრედ ფინბოგასონი, ჯულიან შიებერი, ჯეფრი გოუველეეუვი, რაფაელ ფლამბერგერი

**ფრაიბურგი-ჰერტა**

ფრაიბურგი: **ტრავმა**-რობინ კოხი, მანუელ გულდე, ტიმ კლინდინსტი, ნიკოლას ჰოფლერი, როლანდ ზალაი

ჰერტა: **ტრავმა**-კარიმ რეკიკი, მარვინ პლატენჰარდი, ვლადიმირ დარიდა, ჯავარიო დილროსუნი, დერიკ ლუკასენი

**ბაიერნი-ვოლფსბურგი**

ბაიერნი: **ტრავმა**-ლეონ გორეცკა, კინგსლი კომანი, ფრანკ რიბერი, დავიდ ალაბა, არიენ რობენი, კორენტინ ტოლისო

ვოლფსბურგი: **ტრავმა**-დანიელ გინსეკი

**დორტმუნდი-შტუტგარტი**

დორტმუნდი: **ტრავმა**-მარსელ შმელცერი, ლუკაშ პიშჩეკი

შტუტგარტი: **ტრავმა**-ნიკოლას გონსალესი, ტიმო ბაუმგარტი

**მაინცი-გლადბახი**

მაინცი: **ტრავმა**-ჟან-პოლ ბოტიე, ფილიპ მვენე

გლადბახი: **ტრავმა**-იბრაჰიმ ტრაორე

**ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი**

ჰოფენჰაიმი: **ტრავმა**-კევინ ვოგი, პაველ კადერაბეკი

ნიურნბერგი: **ტრავმა**-ადამ ზრელაკი, მატეუს პერეირა, სიმონ რეინი, ჯორჯ მარგრეიტერი

**ჰანოვერი-ლევერკუზენი**

ჰანოვერი: **ტრავმა**-მატიას ოსტრჟოლეკი, ლინტონ მაინა, ნიკლასა ფულკრუგი, ილჰაზ ბებუ

ლევერკუზენი: **ტრავმა**-ქარიმ ბელარაბი

**ფორტუნა-აინტრახტი**

ფორტუნა: **ტრავმა**-კევინ სტოგერი, ალფრედო მორალესი, იან ციმერი, ადამ ბოჟეკი

აინტრახტი: **ტრავმა**-მარკ სტენდერა, ლუკას ტორო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 24 | 16 | 6 | 2 | 58-27 | 54 |
| 2.ბაიერნი | 24 | 17 | 3 | 4 | 56-27 | 54 |
| 3.ლაიპციგი | 24 | 13 | 6 | 5 | 43-20 | 45 |
| 4.გლადბახი | 24 | 13 | 4 | 7 | 43-30 | 43 |
| 5.აინტრახტი | 24 | 11 | 7 | 6 | 47-30 | 40 |
| 6.ლევერკუზენი | 24 | 12 | 3 | 9 | 43-35 | 39 |
| 7.ვოლფსბურგი | 24 | 11 | 6 | 7 | 39-31 | 39 |
| 8.ჰერტა | 24 | 9 | 8 | 7 | 37-34 | 35 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 10 | 6 | 47-36 | 34 |
| 10.ვერდერი | 24 | 8 | 9 | 7 | 39-35 | 33 |
| 11.ფორტუნა | 24 | 9 | 4 | 11 | 31-42 | 31 |
| 12.მაინცი | 24 | 8 | 6 | 10 | 27-38 | 30 |
| 13.ფრაიბურგი | 24 | 6 | 9 | 9 | 34-40 | 27 |
| 14.შალკე | 24 | 6 | 5 | 13 | 25-39 | 23 |
| 15.აუგსბურგი | 24 | 5 | 6 | 13 | 34-46 | 21 |
| 16.შტუტგარტი | 24 | 5 | 4 | 15 | 24-52 | 19 |
| 17.ჰანოვერი | 24 | 3 | 5 | 16 | 21-55 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 24 | 2 | 7 | 15 | 18-49 | 13 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.03 | პარმა-ჯენოა | 2.87 | 3.0 | 2.7 |
| 09.03 | კიევო-მილანი | 6.5 | 3.8 | 1.57 |
| 10.03 | ბოლონია-კალიარი | 2.0 | 3.25 | 4.2 |
| 10.03 | სამპდორია-ატალანტა | 3.5 | 3.5 | 2.1 |
| 10.03 | ფროზინონე-ტორინო | 4.5 | 3.5 | 1.85 |
| 10.03 | ინტერი-სპალი | 1.4 | 4.4 | 9.0 |
| 10.03 | სასუოლო-ნაპოლი | 6.5 | 3.8 | 1.57 |
| 10.03 | ფიორენტინა-ლაციო | 2.87 | 3.3 | 2.5 |
| 11.03 | რომა-ემპოლი | 1.5 | 4.4 | 6.5 |

**პარმა-ჯენოა**

პარმა: **ტრავმა**-ფაბიო კერავოლო, ლეო სტილაჩი

ჯენოა: **ტრავმა**-ანდრეა ფავილი, ლუკა მაზიტელი, ოსკარ ჰიემარკი

**კიევო-მილანი**

კიევო: **ტრავმა**-პერპარიმ ჰეტემაი, ნენად ტომოვიჩი

მილანი: **ტრავმა**-კრსტიან პზატა, ჯაკომო ბონავენტურა

**ბოლონია-კალიარი**

ბოლონია: **ტრავმა**-ერიკ პულგარი, მატია დესტრო, ფედერიკო მატიელო

კალიარი: **ტრავმა**-ფილიპო რომანა, ალბერტო ჩერი, რაგნარ კლავანი, ლუკას კასტრო

**სამპდორია-ატალანტა**

სამპდორია: **ტრავმა**-გასტომ რამირესი

ატალანტა: **ტრავმა**-ალი ადნანი

**ფროზინონე-ტორინო**

ფროზინონე: **ტრავმა**-პაოლო ჩილიონე

ტორინო: **ტრავმა**-არავინ

**ინტერი-სპალი**

ინტერი: **ტრავმა**-მაურო იკარდი, სიმე ვრსალკო

სპალი: **ტრავმა**-მნუელ ლაზანი

**სასუოლო-ნაპოლი**

სასუოლო: **ტრავმა**-ალფრედ დანკანი, მარლონი

ნაპოლი: **ტრავმა**-მარიო რუი, რაულ ალბიოლი

**ფიორენტინა-ლაციო**

ფიორენტინა: **ტრავმა**-დუშან ვლაჰოვიჩი

ლაციო: **ტრავმა**-ლუის ფელიპე, ვალონ ბერიშა

**რომა-ემპოლი**

რომა: **ტრავმა**-მანუელ ლაზანი

ემპოლი: **ტრავმა**-ლევან მჭედლიძე, ლუკა ანტონელი

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.03 | სტრასბური-ლიონი | 4.2 | 3.75 | 1.8 |
| 09.03 | დიჟონი-რეიმსი | 2.8 | 2.8 | 3.1 |
| 09.03 | მონაკო-ბორდო | 1.6 | 3.9 | 5.5 |
| 09.03 | ამიენი-ნიმი | 2.45 | 3.3 | 3.87 |
| 10.03 | სტ.ეტიენი-ლილი | 2.3 | 3.25 | 3.2 |
| 10.03 | მონპელიე-ანჟე | 2.05 | 3.2 | 3.9 |
| 10.03 | ტულუზა-გენგამი | 2.1 | 3.2 | 3.7 |
| 10.03 | რენი-კაენი | 1.57 | 3.75 | 6.5 |
| 10.03 | მარსელი-ნიცა | 1.5 | 4.2 | 6.5 |

**სტრასბური-ლიონი**

სტრასბური: **ტრავმა**-არავინ

ლიონი: **ტრავმა**-არავინ

**დიჟონი-რეიმსი**

დიჟონი: **ტრავმა**-არავინ

რეიმსი: **ტრავმა**-ვალენტინ როსიე

**მონაკო-ბორდო**

მონაკო: **ტრავმა**-ჯემერსონი, ჯორდი მბულა, სტევან იოვეტიჩი, პიტერო პელეგრი

ბორდო: **ტრავმა**-ვუკასინ იოვანოვიჩი

**ამიენი-ნიმი**

ამიენი: **ტრავმა**-ქვენტინ კორნე, ბონგამი ზუნგუ

ნიმი: **ტრავმა**-მუსტაფა დიალო

**სტ.ეტიენი-ლილი**

სტ.ეტიენი: **ტრავმა**-გაბრიელ სილვა

ლილი: **ტრავმა**-ადამა დუმარო

**მონპელიე-ანჟე**

მონპელიე: **ტრავმა**-პედრო მენდესი, რუბენ აგილარი

ანჟე: **ტრავმა**-ვილფრედ კანგა, პიერიკ კაპელე, ვინსენტ პაიო

**ტულუზა-გენგამი**

ტულუზა: **ტრავმა**-არავინ

გენგამი: **ტრავმა**-იენი გმანკაპო

**რენი-კაენი**

რენი: **ტრავმა**-არავინ

კაენი: **ტრავმა**-რომან გენევო

**მარსელი-ნიცა**

მარსელი: **ტრავმა**-ჯორდან ამავი

ნიცა: **ტრავმა**-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 23 | 2 | 1 | 79-15 | 71 |
| 2.ლილი | 27 | 16 | 6 | 5 | 44-23 | 54 |
| 3.ლიონი | 27 | 14 | 7 | 6 | 45-31 | 49 |
| 4.მარსელი | 27 | 13 | 5 | 9 | 43-35 | 44 |
| 5.სტ.ეტიენი | 27 | 12 | 7 | 8 | 36-33 | 43 |
| 6.რეიმსი | 27 | 10 | 12 | 5 | 29-26 | 42 |
| 7.ნიცა | 27 | 11 | 7 | 9 | 20-27 | 40 |
| 8.მონპელიე | 26 | 9 | 11 | 6 | 34-28 | 38 |
| 9.სტრასბური | 27 | 9 | 10 | 8 | 41-31 | 37 |
| 10.რენი | 26 | 10 | 7 | 9 | 35-34 | 37 |
| 11.ნიმი | 26 | 10 | 6 | 10 | 37-38 | 36 |
| 12.ანჟე | 27 | 8 | 10 | 9 | 31-31 | 34 |
| 13.ბორდო | 26 | 8 | 8 | 10 | 25-27 | 32 |
| 14.ნანტი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-34 | 31 |
| 15.ტულუზა | 27 | 6 | 10 | 11 | 26-42 | 28 |
| 16.მონაკო | 27 | 6 | 8 | 13 | 28-43 | 26 |
| 17.ამიენი | 27 | 7 | 4 | 16 | 22-42 | 25 |
| 18.კაენი | 27 | 3 | 11 | 13 | 22-36 | 20 |
| 19.დიჟონი | 26 | 5 | 5 | 16 | 20-40 | 20 |
| 20.გენგამი | 27 | 4 | 7 | 16 | 18-50 | 19 |

# ჰეიგმა შემადგენლობა გამოაცხადა



საქართველოს მორაგბეთა სამწვრთნელო შტაბმა 10 მარტს ქუთაისში 16:00 საათზე გერმანიასთან რაგბი ევროპის მეოთხე ტურის მატჩისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

საგულისხმოა, რომ „აია არენაზე“, მშობლიურ ქალაქში, 5 ქუთაისელი „ბორჯღალოსანი“ ითამაშებს და მათგან 4 სასტარტო შემადგენლობაშია. თამაშს იწყებენ გამოცდილი მეორეხაზელი გიორგი ნემსაძე, ასევე ახალგაზრდები ოთარ გიორგაძე, მირიან მოდებაძე და თედო აბჟანდაძე. მარქაფაშია 18 წლის კვაჭი ვანო კარკაძე. სასტარტოშია ფოთელი ზურაბ ჟვანია, რომელმაც თავისი ოსტატობა აიაში დახვეწა და პარიზულ სტად ფრანსეში სწორედ ქუთაისიდან მოხვდა.

ერთი კვირის წინ ბრიუსელში, ბელგიასთან 46:6 მოგებული მატჩის შემდეგ, შერკინების ხაზში 4 ცვლილება განხორციელდა.

სასტარტო შემადგენლობაში ზედიზედ მეხუთე თამაშს იწყებს კვაჭი შალვა მამუკაშვილი. მარქაფიდან დაწინაურდნენ და ძირითად შემადგენლობაში არიან ბურჯები ზურაბ ჟვანია და ბექა გიგაშვილი. რუმინეთთან მატჩის შემდეგ გიგაშვილი სასტარტოში მეორედაა, ხოლო ჟვანია თამაშს 2-წლიანი შესვენების შემდეგ იწყებს. ის ძირითადში ბოლოს 2017 წელს, ასევე ქუთაისში ბელგიასთან გამართული მატჩისას იყო და მაშინ ლელოც გაიტანა.

მეორე ხაზში გამოცდილი მორაგბეების წყვილს ვიხილავთ. კვლავ ძირითადშია გიორგი ნემსაძე, რომელსაც ამჯერად შალვა სუთიაშვილი შეუწყვილდება. ასეთი წყვილით თამაში ბოლოს 2018 წელს, სუვაში ფიჯისთან მოგებული (16:15) მატჩისას დავიწყეთ და მას შემდეგ სუთიაშვილი დამწყებ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## პეიგმა შემადგენლობა გამოაცხადა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

15-ში პირველად მოხვდა.

მესამე ხაზში ადგილი შეინარჩუნეს გიორგი ცუცქირიძემ და შემკვრელმა ოთარ გიორგაძემ, ხოლო გიორგი თხილაიშვილის ნაცვლად, მეორე ფლანკერად ბექა სალინაძეს ვიხილავთ. სალინაძე ჟვანიას, გიგაშვილისა და სუთიაშვილის მსგავსად, მარქაფიდან დაწინაურდა.

წინა მატჩთან შედარებით, 3 ცვლილებაა ხაზში და მათგან 2 მარქაფიდან დაწინაურდა. ბელგიასთან განაცხადში არ იყო და ახლა ძირითადშია ლაშა მალაღურაძე, რომელიც თამაშს 12 ნომრად იწყებს და 90-ე სანაკრებო კეპს მოიხვეჭს. 2016 წლის შემდეგ ის დამწყებთა შორის მეორედ მოხვდა (2018 წლის ზაფხულში ფიჯის წინააღმდეგ დაიწყო).

მალაღურაძე ცენტრში გუნდის კაპიტან მერაბ შარიქაძეს შეუწყვილდება. ფრთაზე კვლავ ძირითადშია მირიან მოდებაძე, ხოლო მეორე ფრთა სოსო მათიაშვილი იქნება, რომელიც ბრიუსელში ფულბეკი იყო. მან ზურაბ ძნელაძის ადგილი დაიკავა, ფულბეკად კი ლაშა ხმალაძე ბრუნდება.

საინტერესო იქნება ღერძის ხილვა. 9 ნომერზე შარშანდელი რაგბი ევროპის შემდეგ ძირითადში ბრუნდება გელა აფრასიძე.

ზედიზედ მეექვსე მატჩში მგეზავი 19 წლის თედო აბჟანდაძე იქნება. აღსანიშნავია, რომ ამ წყვილმა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 2 წელი ითამაშა და მსოფლიო აალაპარაკა. აფრასიძე და აბჟანდაძე ახლაც ერთად არიან, უკვე „ბორჯღალოსანთა“ შემადგენლობაში.

მწვრთნელებმა მარქაფაში ერთის გამოკლებით გამოცდილი მორაგბეები გაამწესეს. კვაჭის პოზიციაზე თამაშში 18 წლის ვანო კარკაძე ჩაერთვება, ხოლო ბურჯები ლევან ჩილაჩავა და გიორგი მელიქიძე არიან. მეორე ხაზში მესამე კეპს მოიხვეჭს დავით გიგაური. ასევე მარქაფაშია კიდევ ერთი მეორეხაზელი ნოდარ ჭეიშვილი.

ამჯერად თადარიგშია 22 წლის 9 ნომერი ვასილ ლობჟანიძე, რომლის ანგარიშზე უკვე 41 კეპია. შარშან ზაფხულის ტესტ-მატჩების შემდეგ „ბორჯღალოსნებს“ უბრუნდება დავით კაჭარავა, რომელიც 113-ე კეპს მოიხვეჭს, ყველაზე მეტს ამ შემადგენლობაში და მერაბ კვირიკაშვილზე ორით ნაკლებს. ასევე მარქაფაშია გამოცდილი სანდრო თოდუა.

## ასტროპროგნოზი

### 9 მარტისთვის



**ვერძი** — სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** — დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** — იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** — ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** — კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია.**ქალწული** — უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** — აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი.**მშვილდოსანი** — ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** — მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **მერწყული** — ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** — ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

### 10 მარტისთვის

**ვერძი** — ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **კურო** — ვარსკვლავები მამაკაცებს დღეს სტუმრად წასვლას ურჩევენ. კეთილისმყოფელი და ჰარმონიული პერიოდია. **ტყუპები** — ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კირჩხიბი** — სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამომავლოდ გადადეთ. **ლომი** — იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ.**ქალწული** — საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **სასწორი** — ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ღრიანკალი** — შეცდომების გამოსასწორებლად შანსი გეძლევათ. მოთმინება და თავშეკავება დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** — აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **თხის რქა** — ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **მერწყული** — გამოიჩინეთ სიბრძნე და სამართლიანობა. დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს თქვენგან სჭირდება. **თევზები** — აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჟანგიანი ხმლები ფასდაუდებელი განძი აღმოჩნდა



უძველესი ოჯახური რელიკვიები, რომლებიც ბრიტანელის სახლის სხვენში ინახებოდა, მილიონ ფუნტ სტერლინგად იქნა შეფასებული.

ოჯახურმა წყვილმა ექსპერტებს გაზეთებში გადახვეული ოთხი დაჟანგული ხმალი, მუშკეტი, ზარდახშა და ოქროს ბეჭედი აჩვენა. როგორც გაირკვა, ეს ნივთები ოდესღაც ინდოეთის მმართველს მაისურ ტიპუ სულტანს ეკუთვნოდა.

1799 წელს ინდოეთის მმართველი მოკლეს, ხოლო მისი სასახლე ინგლისელებმა დაარბიეს და გაძარცვეს არტურ უესლის მეთაურობით, რომელიც შემდგომში ველინგტონის ჰერცოგი და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა. მისი არმიის შემადგენლობაში ირიცხებოდა მაიორი ტომას ჰარტი, იღბლიანი ბრიტანელი წყვილის შორეული ნათესავი. მან ზემოთ აღნიშნული ნივთები ბრიტანეთში ჩამოიტანა და ისინი მას შემდეგ მის მემკვიდრეებს გადაეცემოდათ.

რელიკვიებს შორის აღმოჩნდა მუშკეტი, რომლიდანაც ისროდა ტიპუ სულტანი თავისი სასახლის დაცვისას სიცოცხლის ბოლო წუთებში. იარაღზე დარჩენილია ტყვიის ნაკვალევი, რომელმაც ინდოეთის მმართველი მოკლა.

2016 წელს დიდ ბრიტანეთში გაიმართა აუქციონი, რომელზეც ტიპუ სულტანის კუთვნილი ნივთები გაიყიდა და მათში მყიდველებმა ექვსი მილიონი ფუნტი გადაიხადეს. აუქციონისტმა ენტონი კრიბმა აღნიშნა, რომ ამჯერად რელიკვიები კიდევ უფრო ძვირად გაიყიდება.

— ამ ნივთების შეფასება შეუძლებელია. ეს კოლექცია წინაზე კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია. როდესაც მუშკეტი ვნახე მღელვარებისგან კინაღამ გონება დავკარგე. ასეთი ნივთის პოვნა ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი, — განაცხადა კრიბმა და იქვე დაამატა, რომ წყვილის იღბლიანობა შეიძლება ლატარიაში ჯეკპოტის მოხსნას შევადაროთ.

აღნიშნული აუქციონი 26 მარტს ოქსფორდშირის საგრაფოს ქალაქ აბინგდონის მახლობლად მდებარე სასტუმრო მილტონ ჰაუსში გაიმართება.

## მეთევზეებმა ნიანგების გამო ორი დღე ხეზე გაატარეს



ავსტრალიაში გადაარჩინეს მეთევზეები, რომლებიც ნიანგების შიშით ორი დღე ხის ტოტებს აფარებდნენ თავს.

ორი ავსტრალიელი სათევზაოდ კაკადუს ეროვნულ პარკში გაემგზავრა. როდესაც ისინი მდინარე საუტ-ალიგატორზე მიცურავდნენ, მოულოდნელად მათმა ნავმა ჩაძირვა დაიწყო. მათ იქვე ახლოს მდებარე ხეზე აძრომა მოასწრეს, მაგრამ სასიგნალო მაშხალა და საკვების მარაგი წყალში დარჩა. ჩაძირული ნავიდან მხოლოდ ცეცხლმქრობის გადარჩენა შეძლეს.

მდინარე საუტ-ალიგატორი ცნობილია ნიანგების სიმრავლით, ამიტომ ავსტრალიელებმა მომდევნო 48 საათი ხის ტოტებში გაატარეს. ჰაერის ტემპერატურა 35 გრადუსს აღემატებოდა, იმ დროს როდესაც ტენიანობა 90 პროცენტს შეადგენდა. მათ კოღოები კბენდნენ, ქვევით კი 3,5-მეტრიანი ნიანგი დაცურავდა. გაუწყლოების გამო მათ ბოდვები დაეწყოთ, ერთ-ერთი კი ძილში ორჯერ ჩამოვარდა ხიდან და დაჟეჟილობები და ნაიარევები მიიღო.

როდესაც უიღბლო მეთევზეები სამსახურში არ გამოცხადდნენ, მათმა უფროსმა დაკარგული თანამშრომლების ჰაერიდან მოსაძებნად შვეულმფრენი დაიქირავა. მათ შვეულმფრენი შენიშნეს და მისთვის ნიშნის მიცემა ცეცხლმქრობით დაიწყეს. ამის შემდეგ მათთან მაშველები გაგზავნეს. ორივე მეთევზე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი მდგომარეობა სტაბილურია.

## მამაკაცს კოლეგებზე შხამებით ექსპერიმენტი სამუდამო პატიმრობად დაუჯდა



გერმანიის მცხოვრებს თავისი კოლეგების საკვების მოწამვლისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

ბოროტმოქმედი 2018 წლის მაისში დააპატიმრეს. როგორც სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებულმა კადრებმა აჩვენა, ის თანამშრომელს ბუტერბროდში საეჭვო ფხვნილს უყრიდა. განსასჯელის სახლში ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა ვერცხლისწყალი, ტყვია, კადმიუმი და აცეტატი.

დანაშაულის მოტივი უცნობი დარჩა. როგორც გამოძიება ვარაუდობს, მას სურდა ენახა, თუ როგორ იმოქმედებდა ნივთიერებები მის კოლეგებზე. ამ ყოველივეს შედეგად ერთი ადამიანი კომაში აღმოჩნდა, კიდევ ორმა კი თირკმლების სერიოზული დაზიანება მიიღო.

## მესამე სართულიდან გადმოვარდნილი ორი წლის ბავშვი უვნებლად გადარჩა

ინდოეთში ორი წლის ბავშვი მესამე სართულის აივნიდან გადავარდა და დაბლა გაჭიმული სადენების წყალობით, რომლებმაც მისი დაცემა შეარბილეს, ცოცხალი გადარჩა.



ვიდეორგოლზე, რომელიც მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ შივპურიშია გადაღებული, ჩანს გაელვება და შემდეგ ბავშვი ქუჩაში მიმავალი ქალის წინ ეცემა ისე, რომ ხელიდან ტელეფონს აგდებინებს. შოკირებული ქალი იქვე ბორდიურზე ჯდება, ხოლო ბავშვს დასახმარებლად ორი მამაკაცი მივარდება, ერთ-ერთს გონებადაკარგული ბიჭი ხელში აჰყავს. მათთან რამდენიმე გოგონა მირბის, ერთ-ერთი კი თავზე შემოირტყამს ხელებს.

მალე შემთხვევის ადგილზე მიდის ავტომობილი. ერთ-ერთმა გოგონამ ბავშვი ხელში აიყვანა და მანქანით საავადმყოფოში წაიყვანა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ექიმებმა ბავშვი გასინჯეს, მხოლოდ რამდენიმე ჩალურჯებული ადგილი აღმოუჩინეს, თუმცა მაინც უფრო უკეთეს საავადმყოფოში გადაგზავნეს. იქაც ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბიჭს რაიმე სერიოზული დაზიანება არ ჰქონდა მიღებული და ის იმავე დღეს გაწერეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართული ხალხური ზღაპარი; 2. ბრინჯაოს ქართული სახელწოდება; 3. მაღალყელიანი რეზინის კალოში; 5. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი გვერდი; 6. ტერიტორიული ერთეული; 7. სიბრძნის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. კიევის მერი; 13. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 14. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 15. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 16. სარკინიგზო საძინებელი ვაგონის გამომგონებელი ამერიკელი მრეწველი; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 19. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 20. კომბინაცია პოკერში.

**თარაზულად:** 1. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 4. ქართული ბანკი; 8. სატანვარჯიშო იარაღი; 9. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 12. სამშობიარო სახლის ძველი სახელწოდება საქართველოში; 14. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 15. მხატვრული ფილმის „უძინართა მზის“ რეჟისორი; 16. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 18. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 21. უნგრული ღვინო; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 23. ფრანგი კლასიკოსი მწერალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ლეგენდა; 2. სინოლოგი; 3. დროსელი; 5. ვატერლოო; 7. ოცელოტი; 9. ტაბაწყური; 13. ვოინიჩი; 15. ერმისა; 16. მღვიმე; 18. აზარი.

**თარაზულად**: 5. გელოვანი; 6. ჭვიშტარი; 8. რეპატრიაცია; 10. პულკოვო; 11. ბელი; 12. სტრიტი; 15. ზესხო; 17. წყარო; 19. ომარი; 20. გიორგობა; 21. იაკი; 22. კართაგენი; 23. გირკანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ყვანჯი; 2. ზვავი; 3. მიზა; 5. შუქურა; 6. თხილი; 7. ჯანაოზი; 11. ხენდრო; 13. ალაზანი; 14. არმია; 15. სლალომი; 16. სადროშო; 17. სოკერი; 19. ეპოქა; 20. ალბა.

**თარაზულად**: 1. ყაზარმა; 4. ატაშე; 8. ზვარი; 9. ქუჯი; 10. ნავახა; 12. კაიზერი; 14. აიდა; 15. სინაგოგა; 16. სამბო; 18. კოლიე; 21. კასიო; 22. შარბათი; 23. ქორწილი.

## დედამ შვილზე უარი არცთუ მაღალი შეფასებების გამო თქვა

ჩინეთის ხენანის ოლქის ქალაქ ლოიანში დედამ შვილზე უარი ტესტების არასაკმარისად მაღალი შეფასების გამო თქვა.

თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ქალი ჯერ შუა ქუჩაში უყვიროდა თავის 12 წლის შვილს, შემდეგ მას რამდენიმეჯერ დაარტყა და სახლში მარტო წავიდა ავტომობილით, მოზარდი კი ქუჩაში მიატოვა. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც გამვლელები დარწმუნდნენ, რომ ქალი ბავშვთან დაბრუნებას არ აპირებდა, მათ პოლიცია გამოიძახეს.

პოლიციელებმა მოზარდი მაგისტრალის შორიახლოს ნახეს. ის სადგურისკენ მიემართებოდა. ბიჭმა აღიარა, რომ დედა მასზე გაბრაზდა იმის გამო, რომ ცუდად ჩააბარა გამოცდა და 95 ქულის მაგივრად, რომელსაც მისი მშობელი მოელოდა, მხოლოდ 81 ქულა აიღო.




სამართალდამცავებმა მოწმეები გამოკითხეს, ქალის ავტომობილის ნომერი გაიგეს და მას მობილურ ტელეფონზე დაურეკეს. პოლიციელებთან საუბარში ქალმა შვილზე უარი თქვა.

— ის მე აღარ მჭირდება. რაც გინდათ, ის უყავით. შეგიძლიათ, ჩემ წინააღმდეგ საქმე აღძრათ, — განუცხადა მან პოლიციელებს. ერთ-ერთმა მას პასუხად „უპასუხისმგებლო“ უწოდა და მოთმინებისკენ მოუწოდა.

მოზარდმა ერთი საათი პოლიციის განყოფილებაში გაატარა, საიდანაც ის ბიძამ წაიყვანა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ღონისძიებებს გაატარებენ სამართალდამცავები ბიჭის დედის წინააღმდეგ.

## შურისმაძიებელმა მებაღემ ყოფილ კლიენტებს სასიკვდილო ხაფანგები დაუგო

გერმანიის რეინლანდ-პფალცის მიწაზე ორი აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაშავდა, ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა.

პირველი აფეთქება 1 მარტს ქალაქ ენკენბახ-ალზენბორნში იმ დროს მოხდა, როდესაც 64 წლის ექიმმა თავისი ოფისის შესასვლელ კართან დაგდებული შეკვრა აიღო. შედეგად მამაკაცი დაიღუპა.

მეორე დღეს ქალაქ ოტერბერგში, რომელიც ქალაქ ენკენბახ-ალზენბორნიდან დაახლოებით ათი კილომეტრითაა დაშორებული, ღუმელი აფეთქდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას ხის ნაჭრებით ანთებდნენ, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერებით იყო დატენილი. აფეთქების შედეგად დაშავდნენ ქალი და მისი ქალიშვილი.



პოლიციას ეჭვი აქვს, რომ ამ აფეთქებების უკან 59 წლის მებაღე ბერნჰარდ გრაუმანი დგას, რომელიც მეზობელ ქალაქ მელინგენში ცხოვრობს. მისი ცხედარი 1 მარტს ნახეს. მისი დაღუპვის მიზეზი, სავარაუდოდ, თვითმკვლელობაა. დაღუპული ექიმიც და დაშავებული ქალიც გრაუმანს იცნობდნენ.

— მას პირადი ან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა თავის მსხვერპლებთან, — ამტკიცებენ პოლიციაში, — და ეს არ ყოფილი კარგი ურთიერთობები.

გამოძიების ვერსიით, სიკვდილის წინ მებაღემ გადაწყვიტა, შური ეძია თავის მტრებზე და მათ ასაფეთქებელი მოწყობილობები მიუგდო.

სიცოცხლეში გრაუმანი ისტორიული რეკონსტრუქციებით იყო გატაცებული და ძველ ცეცხლსასროლ იარაღებს რესტავრაციას უკეთებდა. მის სახლში აღმოაჩინეს დენთი და სხვადასხვა ნივთი, რომელთა შენახვას არეგულირებს კანონი ასაფეთქებელ ნივთიერებებზე. გამოძიება არ გამორიცხავს, რომ ყოფილ მებაღეს სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობებიც ჰქონდეს დამზადებული, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა. სამართალდამცავებმა ყველას, ვინც კი იცნობდა გრაუმანს და მიაჩნია, რომ მას შესაძლოა მათ მიმართ გულში წყენა ჰქონოდა ჩადებული, მოუწოდეს, პოლიციას მიმართონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ჩვენს საყვარელ
გულიკო ბალაძეს
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, წარმატებას
ოჯახთან ერთად.
სიყვარულით
„ახალი თაობა“

## ვალერიან შიუკაშვილი ახალი ალბომის შემოსავალს „იავნანას“ურიცხავს



პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა ორსულებისთვის ახალი ალბომი ჩაწერა და მასში ის კლასიკური ნაწარმოებები შეიტანა, რომლებიც ორსულობის პერიოდში დედებმა აუცილებლად უნდა მოისმინონ.

„მუსიკა ორსულებისთვის“ — ასე ეწოდება ალბომს, რომლის პრეზენტაციაც პიანისტმა გაზაფხულის დადგომასთან ერთად გამართა.

აღიარებული მუსიკოსი ვალერიან შიუკაშვილი ახალი ალბომის მიღებულ შემოსავალს მხარდაჭერის მიზნით ფონდ „იავნანას“ ურიცხავს.

## დიმა კობეშავიძე ახალგაზრდა მომღერლების კრიტიკოსებმა დაღალეს



მომღერალი დიმა კობეშავიძე ახალგაზრდა მომღერლების კრიტიკოსებმა დაღალეს. ამის დასტურად იგი ერთ-ერთი მომღერლისთვის სოციალურ ქსელში დაწერილ კომენტარებს ასახელებს:

— წავაწყდი ახალგაზრდა მომღერლის რაღაც ვიდეოს და ჩავუყევი კომენტარებს, შეგნებულად არ ვწერ, ვისზეა საუბარი.

საშინელება და უბედურება ხდება ჩვენს თავს... ამ ქვეყანაში გადაწყვეტილებას, რა იმღერო და რა ვიდეო გადაიღო, იღებს თვითონ მომღერალი ყველანაირი ზედმეტი დახმარების გარეშე.

ჩვენ არ გვყავს პროდიუსერების არმია, რომლებიც გვირჩევენ, დაწყებით სტადიაზე მაინც რა და როგორ უნდა გავაკეთოთ... ჩვენ, უბრალოდ, ვაკეთებთ... ეს ან მოგწონთ, ან არა.

არ გვყავს მენეჯერები, რომლებიც დაგვიგეგმავენ კონცერტებს ფილარმონიაში და ვმღერით კლუბებში, დიახ... გვხვდება საშინელი სთაფი ძირითად შემთხვევაში, რომლებიც ორიენტირებულები არიან მხოლოდ იმაზე, რომ მოსული სტუმარი მაქსიმალურად გაერთოს და სულ ფეხებზე ჰკიდია, შენ რას იმღერებ და მხოლოდ იმიტომ, რომ სიმღერის გარდა სხვა არაფერი არ გინდა, მღერი ისეთ რაღაცებს, რომ ტერასუშკები და დროპ ბარები გაახარო! პახოდუ ეს ყრუ ადმინისტრატორები თავის თავს იმის უფლებას აძლევენ, რომ შენი ლისტი თავად შეადგინონ.

ჰოდა, რისი თქმა მინდა, ცოტა ლმობიერები იყავით, ჩვენც დრო გვჭირდება რაღაცების გასააზრებლად... ერთი მოსმით აღება და მომღერლის განადგურება ტეხავს!

პ.ს. სანამ ვინმეს გააკრიტიკებთ, ჯერ პატივისცემის ნიშნად ტაშის დაკვრა ვისწავლოთ, მეგობრებო!

## გოგი გვახარია: „ნეტავი როდის გავქრებით მართლა რა!“



— ნეტავი როდის გავქრებით მართლა რა! — ასეთია კინომცოდნე გოგი გვახარიას ოცნება:

— რუსულ დუბლიაჟზე რომ წერს ხალხი, კარგი ხარისხიაო.. ეგაა, გენაცვალე, ჩვევა და საბჭოთა ტრავმა.

აი, რუსული „მიშკა კასალაპი“ რომ ყველაფერს სჯობია და რუსის ქალი რომ ყველაზე სექსუალურია, ეგაა.

პირველად 1994 წელს ვუჩვენე ქართულად გახმოვანებული ფილმი „სარკმელში“ და ატყდა ერთი ამბავი. დაგვცინოდნენ. ყველა შეჩვეული იყო რუსულ გახმოვანებას. მას მერე მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც რუსული საერთოდ არ იცის, მაგრამ ამ ყმაწვილების მშობლები, ბებია-ბაბუები ისევ „მიშკა კასალაპის“ ტენიან თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს.

ნეტავი როდის გავქრებით მართლა რა!

## ქართული ფილმი „ცუდი ხალხი“ კანადის კინოფესტივალის 4 ნომინაციაზეა წარდგენილი

რეჟისორ გიორგი თავართქილაძის მოკლემეტრაჟიანი მძაფრსიუჟეტიანი ფილმი „ცუდი ხალხი“ კანადის საერთაშორისო კინოფესტივალის 4 ნომინაციაზეა წარდგენილი.

ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული ფილმი წარდგენილია ნომინაციებში საუკეთესო რეჟისურა — გიორგი თავართქილაძე, საუკეთესო სცენარი — გიორგი თავართქილაძე და ვლადიმერ კაჭარავა, საუკეთესო მამაკაცის როლი — ვახო ჩაჩანიძე და საუკეთესო დამხმარე როლი — ჯანო იზორია.

„ცუდი ხალხი“ გიორგი თავართქილაძის მოკლემეტრაჟიანი მძაფრსიუჟეტიანი ფილმია, რომელიც მონაწილეობდა ლოს ანჯელესის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალსა და ჰონგ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ფილმი 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე სამოქალაქო ომსა და იმ პერიოდის რამდენიმე რეალურ ამბავზე მოგვითხრობს.




## რეჟისორი ნინო ბასილია სიკვდილისთვის გაწირეს

რეჟისორი ნინო ბასილია სიკვდილისთვის გაწირეს. ხელოვანმა თავისი ისტორია სოციალურ ქსელში გაასაჯაროვა და გააფრთხილა ყველა, არ გაებან თაღლითურ მახეში:

— ძალადობა ძალადობაა!

მეგობრებო, იცით, რომ გრძელი და უარყოფითი პოსტების წერით არ გამოვირჩევი, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა და, იმედია, აღარასოდეს დამჭირდება მსგავსი ინფორმაციის გავრცელება.

სამწუხაროდ, ჩემი პატარა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმით გამოვეთიშე რადიო „თავისუფლების“ 3-წუთიანი ფილმების კონკურსს, რომლის მიზანი ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით საზოგადოების მხარდაჭერის გაძლიერება იყო. ამიტომ უკვე მაქვს უფლება ფილმის საჯაროდ გაზიარების, რადგან იგი შეიძლება ბევრს დაეხმაროს და თან, ამ კერძო შემთხვევაში, მეხმარება მეც — არ დავხუჭო თვალი უსამართლობაზე.

ჩვენზე შეიძლება ძალადობდნენ არა მხოლოდ ოჯახში ან სამსახურში, მოძალადე შეიძლება აღმოჩნდეს როგორც საზოგადოება, ასევე სისტემა, მათ შორის ჯანმრთელობის სადაზღვევო სისტემაც, რომლის მსხვერპლიც ამ რამდენიმე დღის წინ გავხდი. გაგიზიარებთ პირად გამოცდილებას, რათა მომავალში თავიდან აიცილოთ ისეთ სადაზღვევო კომპანიასთან ურთიერთობა, როგორიცაა „ევროინსი“, ყოფილი „აისი ჯგუფი“.

ნოემბრის თვიდან შემოქმედებით მივლინებაში ვიმყოფები ინდოეთში, თან მშვიდად, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ 50-ათას ევროიანი ქართული სამოგზაურო დაზღვევა მიჭირავს ხელში და მჯერა, რომ ამინაზღაურდება უეცრად წარმოქმნილი ჯანმრთელობის პრობლემებით გამოწვეული ხარჯები.

2019 წლის 22 თებერვალს ინდოეთის ქალაქ ფანჯიმის კერძო კლინიკაში — მანიპალ ჰოსპიტალში, რადგან სხვაგან ან



დაზღვევას არ იღებდნენ, ან სპეციალისტი არ ჰყავდათ, მიმიყვანეს გულის მწვავე უკმარისობით ინფარქტით, რომელიც გამოწვეული იყო გულის მთავარი მკვებავი არტერიის 95%-იანი დახშობით. ჩემი გადარჩენის ერთადერთი გზა იყო დაუყოვნებლივი სტენტირება, რომელიც წარმატებით ჩატარდა და, საბედნიეროდ, დღეს ცოცხალი ვარ.

ახლა მინდა მოგიყვეთ ქართულ სადაზღვევო კომპანიაზე, რომელმაც სიკვდილისთვის გამწირა!

ნოემბერში, ინდოეთში წამოსვლამდე, ავიღე სამოგზაურო დაზღვევა კომპანია „ევროინსში“, ყოფილი „აისი ჯგუფი“. აღმოჩნდა, რომ კომპანია არ აფინანსებს ამ ჩემს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამედიცინო ინტერვენციას. რომ არა ჩემი მეგობრების დაუყოვნებლივი ფინანსური დახმარება, მარტივად აღმოვჩნდებოდი კლინიკის მძევალი.

სტენტირება და კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში ჩემი 6-დღიანი დაყოვნება დაჯდა 9.700 აშშ დოლარი. დაზღვევა ითვალისწინებდა საჭიროების შემთხვევაში ჩემს დახმარებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სრული გულგრილობა, უპასუხისმგებლობა, დაგვიანებული პასუხები, რთული და არადროული კომუნიკაცია — ამ ყველაფერს შევეჩეხე სადაზღვევო კომპანია „ევროინსთან“ ურთიერთობისას.

ამაზე დიდი საჭიროება ადამიანს არც შეიძლება დაუდგეს, რომელსაც აღნიშნული კომპანია, უბრალოდ, არ აფინანსებს.

დიდი ჩხუბის შემდეგ კომპანია დაყაბულდა მხოლოდ 2400 ევროს, ანუ 2700 აშშ დოლარის გადახდას. ამ ფაქტით განცვიფრებულნი დარჩნენ კლინიკაშიც.

ვაპირებ, თბილისში ჩამოსვლისას სამართლებრივი დავა წამოვიწყო კომპანია „ევროინსთან“, რომელსაც მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს ორაზროვნად და თაღლითურად, ამ სიტყვის გამოყენება არ მინდოდა, მაგრამ შესატყვისს ვერ ვპოულობ, გაწერილი შეთავაზებებით და ყველანაირი გადახდისგან თავის დაძვრენას ცდილობს.

ბოლოს გამაგებინეს, რომ იმ ყველა ჩამონათვალიდან, რაც კონტრაქტში ეწერა, თურმე ანაზღაურდება ხარჯები ყოველ საწოლ დღეზე, რაც 400 ევროს შეადგენს. ეს პირობებიც მათ საიტზეა განთავსებული, რთულად მოსაძებნია და იურისტის დახმარება გჭირდებათ, რომ ზუსტად გაერკვეთ დეტალებში.

მეგობრებო, ამ ყველაფერს ვახმაურებ, რადგან არ მინდა, თქვენც მსგავს მახეში გაებათ! და რომ საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

მადლობა ჩემს მეგობრებს მყისიერი ფინანსური დახმარებისთვის, ჩვენს საელჩოს ინდოეთში — თანადგომისთვის. დღევანდელი ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი და სტაბილურია.

ცხოვრება გრძელდება!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.6810

ევრო — 3.0298

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5202

100 რუსული რუბლი — 4.0709

## ამინდის პროგნოზი 9 მარტისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“




12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

საღმრთო ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

1 მარტიდან

შოდერლო დე ლაკლო

სახიფათო კავშირები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი





## მეგანი და კეიტი ერთად წელს პირველად გამოჩნდნენ



სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი და კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონი წელს პირველად გამოჩნდნენ ერთად ბუკინჰემის სასახლეში პრინც ჩარლზის პატივსაცემად გამართულ ზეიმზე.

საზეიმო მიღება მიძღვნილი იყო ჩარლზის უელსის თანამდებობაზე ასვლის 50 წლისთავისადმი. ღონისძიებას პრაქტიკულად მთელი სამეფო ოჯახი ესწრებოდა, მათ შორის მეგანი და კეიტი.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ორი ჰერცოგინია ერთად იმყოფებოდა ოფიციალურ ღონისძიებაზე საშობაო წირვაზე დასწრების შემდეგ.

მართალია, მათ ერთად ფოტოსურათი არ გადაუღიათ, თუმცა ერთ-ერთ ვიდეოზე ჩანს, რომ ორი ჰერცოგინია გვერდიგვერდ იმყოფება და რაღაცაზე იცინიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– ცოლი მაიძულებს, იატაკი მასტიკით მოვაპრიალო, სულ ძირს ვხოხავ.

– გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე. ცოლი რომ გეტყვის, იატაკს მასტიკა წაუსვიო, მაგიდაზე მუშტი დასცხე და დაიყვირე: „მორჩა, გათავდა!“

როდესაც ცოლმა ისევ მასტიკის წასმა და მოპრიალება დაავალა, კაცი ასეც მოიქცა.

– რაო?! – წარბი ასწია ცოლმა, – რა გათავდა?

– მასტიკა.

•••

სახლში მისულ მთვრალ ქმარს ცოლი უყვირის:

– მაი ღვინო და „ვოტკაა“ შენი მტერი და მომასპობელი.

– რა გინდა მერე? გინდა მტერს შევუშინდე?

•••

რუსს ეკითხებიან:

– რა არის საჭირო რუსული ქეიფისთვის?

– ერთი ყუთი ლუდი, რამდენიმე ბოთლი არაყი, ძეხვი და ძაღლი...

– და ძაღლი რაღა საჭიროა?

– ძეხვი ვინმემ ხომ უნდა შეჭამოს...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, შენი დრელი მათხოვე, რა?

– არ მაქვს, მამაჩემს აქვს წაღებული და შენს მეზობელს ვერ გამოართმევ?

– ბიჭო, რომელი ჭკვიანი ათხოვებს მეზობელს დრელს?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დღეს შენი საყვარელი ვნახე...

– მერე?

– ეს შენი მხრიდან ღალატი კი არა, გმირობაა!!!

•••

სტუმრად მისული ნათესავი მასპინძელს ეკითხება:

– სად ისწავლე ასეთი გემრიელი საჭმელების მომზადება?

– ეს ჩემი ყოფილი ცოლის წყალობითაა...

– მაგარია, ყოჩაღი ყოფილა!

– რა ყოჩაღი, საერთოდ არ იცოდა საჭმელების კეთება და იძულებული ვიყავი, მესწავლა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მანჩესტერი სოლსკიაერს სრულყოფილ კონტრაქტს შესთავაზებს



ბოლო წარმატებების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ოლე გუნარ სოლსკიაერი იმსახურებს მანჩესტერ იუნაიტედში სრულყოფილ კონტრაქტს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მანჩესტერმა ჩემპიონთა ლიგიდან პსჟ გამოაგდო და თითქმის შეუძლებელი შეძლო.

მალე იუნაიტედი სოლსკიაერს რამდენიმეწლიან კონტრაქტს შესთავაზებს და მისი ანაზღაურება წელიწადში 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება.

სოლსკიაერს ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია, თუმცა მან მანჩესტერში დარჩენის სურვილი გამოთქვა.

## მარსელო იუვენტუსში მიდის



მადრიდის რეალის ბრაზილიელი მცველი მარსელო სეზონის ბოლოს, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს და ტურინის იუვენტუსში გადაბარგდება.

მარსელოს უთანხმოება აქვს რეალის მთავარ მწვრთნელ სანტიაგო სოლარისთან, რის გამოც ის მოედანზე თითქმის არ გამოდის.

გარდა ამისა, ბრაზილიელ მცველს კრიშტიანო რონალდუსთან ერთად სურს თამაში, რომელიც ამჟამად იუვენტუსის ღირსებას იცავს.

მარსელოს ტრანსფერი იუვენტუსს 50 მილიონი ევრო დაუჯდება, ხოლო თვითონ მარსელო წელიწადში 12 მილიონს მიიღებს ხელფასის სახით.

## კარლო ანჩელოტი: „პსჟ-ს მწვრთნელი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი“



ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ პსჟ-ს და მანჩესტერ იუნაიტედის თამაშზე გააკეთა კომენტარი, რომელიც პსჟ-ს სენსაციური მარცხით დასრულდა.

ანჩელოტის თქმით, ის რომ პსჟ-ს მწვრთნელი ყოფილიყო ხიდიდან გადახტებოდა:

– ეს წარმოუდგენელი იყო. ვერ ვიჯერებ, რომ პსჟ-მ ასეთი უპირატესობა ხელიდან გაუშვა. მათი მწვრთნელი რომ ვიყო, არ ვიცი, რას ვიზამდი. ალბათ სადმე ახლოს ხიდს ვნახავდი და იქიდან გადავხტებოდი.

## სოლარი შესაძლოა უახლოეს დღეებში გაუშვან



მადრიდის რეალის მთავარი მწვრთნელი სანტიაგო სოლარი შესაძლოა უახლოეს დღეებში თანამდებობიდან გაათავისუფლონ.

სოლარის ხელმძღვანელობით რეალი ცუდად ასპარეზობს და გარდა ამისა, მწვრთნელს რამდენიმე ფეხბურთელთან კონფლიქტი აქვს. მადრიდში ვარაუდობენ, რომ სოლარის მაგივრად ჟოზე მოურინიო გახდება რეალის მწვრთნელი, თუმცა ოფიციალურად ეს ინფორმაცია ჯერ არ დადასტურებულა.

მოურინიომ რეალში დაბრუნების სურვილი უკვე გამოთქვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ხეობა საქართველოში; 2. ღვიძლის დაავადება; 3. ძვირფასი სარეწაო თევზი; 5. ფინური ხალხური ეპოსი; 7. მუქთახორა, ზარმაცი ადამიანი; 9. თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 13. ზებუნებრივი ძალების რწმენა; 15. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 16. თალლითი ბანქოს თამაშში; 18. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 4. ტურისტული ცენტრი მაროკოში; 6. მიწის სათხრელი მანქანა; 8. საზოგადოების განვითარებისა და მატერიალური კულტურის დონე; 10. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი დისციპლინა; 12. აშშ-ის პრეზიდენტი; 14. ცნობილი ქართველი უფოლოგი; 17. მიწისქვეშა განძეულის მცველი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 19. გეომეტრიული ფიგურა; 20. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. შემაგრებული ღვინო; 23. იტალიური სადესერტო ღვინო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

